

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	4

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის სამუშაო გარემო	5
3. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციის დანერგვა	5
4. ახალი სააღრიცხვო დებულებები	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
6. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	18
7. შემოსავალი	19
8. რეალიზებული პროდუქტების თვითღირებულება	19
9. სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები	20
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	20
11. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	20
12. ძირითადი საშუალებები	21
13. გამოყენების უფლების მქონე აქტივები	22
14. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	23
15. ფული და ფულის ექვივალენტები	23
16. საწესდებო კაპიტალი	24
17. ნასესხები სახსრები და საიჯარო ვალდებულებები	24
18. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	25
19. ფინანსური რისკების მართვა	25
20. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა გაზომვის კატეგორიის მიხედვით	29
21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები	29
22. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები	30
23. აღრიცხვის პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

სხვა ინფორმაცია - ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ პარტნიორს და ხელმძღვანელობას.

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტთან დაკავშირებით, სამართლიანად ასახავს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ შევამოწმეთ

კომპანიის ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს:

- ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშგებას მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ანგარიშგებას კაპიტალში ცვლილების შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტური შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებაზე.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტური მონაცემები საკმარისი და შესატყვისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი აუდიტური დასკვნის საფუძველად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გაცემული პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (შემდგომში - IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ ასევე შევასრულეთ ჩვენ მიერ ნაკისრი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები IESBA კოდექსის თანახმად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გაცემული ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ, არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს თუ არა არსებით უზუსტობებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ მოგვეთხოვება, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია, რომ განვაცხადოთ.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის კონკრეტული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი აუდიტორული შემოწმების პროცესში შესრულებული სამუშაოების საფუძველზე:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიში შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და იმ პირთა პასუხისმგებლობები, რომლებსაც ევალებათ ფინანსური ინფორმაციის მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადებაზე, და ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობები, განაგრძოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, წარმოადგინოს ინფორმაცია მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს აღრიცხვის მეთოდი მოქმედი საწარმოს საფუძველზე მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტურ შემოწმებაზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან მთლიანობაში, გონივრულ ფარგლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტორული შემოწმების ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს სრული აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტორული შემოწმების მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

შპს “ფრაის უოთერ ჰაუს კუპერს ჯორჯია“ (რეგ. # SARAS-F-775813)

ხელმოწერილია

ლაშა ჯანელიძე (რეგ. #SARAS-A-562091)

6 აპრილი, 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნები</i>	2020	2019
შემოსავალი	7	55,849	59,655
რეალიზებული პროდუქტების თვითღირებულება	8	(40,128)	(44,628)
მთლიანი მოგება		15,721	15,027
სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები	9	(10,492)	(11,599)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(4,169)	(3,938)
ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე, წმინდა		(287)	(29)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		773	(539)
ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება, წმინდა	11	(8,312)	(5,850)
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		393	(897)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(7,146)	(7,286)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(7,146)	(7,286)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(7,146)	(7,286)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მმართველთა საბჭოს სახელით 2021 წლის 6 აპრილს.

ხელმოწერილია
 რუსლან შულდიკი
 აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერილია
 გიორგი ნონიევი
 ფინანსური დირექტორი

**შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში**

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნები</i>	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	2,234	2,059
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	13	7,686	10,643
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები		329	365
არამატერიალური აქტივები		118	133
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,367	13,200
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14	11,815	12,817
სხვა მიმდინარე აქტივები		75	50
გადახდილი ავანსები		811	305
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება		870	866
ფული და ფულის ექვივალენტები	15	1,589	657
სულ მიმდინარე აქტივები		15,160	14,695
სულ აქტივები		25,527	27,895
პარტნიორის კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	16	2,658	2,658
დაგროვილი ზარალი		(25,166)	(18,020)
სულ აქციონერის კაპიტალი		(22,508)	(15,362)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
ნასესხები სახსრები	17	28,283	21,918
საიჯარო ვალდებულებები	18	8,011	8,398
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36,294	30,316
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიღებული ავანსი		1,060	1,055
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	18	7,383	8,410
საგადასახადო დავალიანება, წმინდა		155	177
საიჯარო ვალდებულებები	13	2,175	2,947
ნასესხები სახსრები	17	699	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		269	352
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,741	12,941
სულ ვალდებულებები		48,035	43,257
სულ აქციონერის კაპიტალი და ვალდებულებები		25,527	27,895

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მმართველთა საბჭოს სახელით 2021 წლის 6 აპრილს.

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
ადმსრულებელი დირექტორი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგ“
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

ათას ლარში	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი სულ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16	2,658	(10,734)	(8,076)
ზარალი მოცემული წლისთვის		-	(7,286)	(7,286)
სხვა სრული ზარალი მოცემული წლისთვის		-	-	-
სულ სრული ზარალი 2019 წლისთვის		-	(7,286)	(7,286)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16	2,658	(18,020)	(15,362)
ზარალი მოცემული წლისთვის		-	(7,146)	(7,146)
სხვა სრული ზარალი მოცემული წლისთვის		-	-	-
სულ სრული ზარალი 2020 წლისთვის		-	(7,146)	(7,146)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16	2,658	(25,166)	(22,508)

**შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში**

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნები</i>	2020	2019
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის შემდგომ		(7,146)	(7,286)
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9,10,12,13	3,035	3,168
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	11	2,024	2,280
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	11	1,174	1,357
უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების ზარალი, წმინდა	11	5,114	2,213
სხვაობა უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		(100)	4
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ღირებულება	8	212	239
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკარგის ღირებულება	8	203	180
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებებამდე		4,516	2,155
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანების ზრდა		(4)	(426)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კლებ/(ზრდა)	14	587	(2,873)
გადახდილი ავანსის (ზრდა)/კლება		(506)	199
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა		(25)	(12)
გრძელვადიანი ავანსის კლება		36	16
მიღებული ავანსის ზრდა		5	63
დებიტორული და სხვა სახის დავალიანების (კლება)/ზრდა	18	(1,027)	4,637
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		(22)	(86)
სხვა მიმდინარე ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(83)	95
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული		3,477	3,768
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(376)	(886)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(10)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(376)	(896)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	17	2,246	1,078
ნასესხები სახსრებიდან დაფარვა	17	(821)	(830)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	17	(3,812)	(3,632)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,387)	(3,384)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		218	(4)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		932	(516)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	15	657	1,173
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	15	1,589	657

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“).

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისში, 2014 წლის მაისში.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელ კომპანიას წარმოადგენდა „Terminal West (DIY) Holdings Limited“ (კვიპროსი), კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენდა „Quadrum Investment Management Limited“ (კაიმანის კუნძულები), რომელიც მართავს კომპანიას ინვესტიორების სასარგებლოდ და რომლის საბოლოო 100% წარმოადგენს ბ-ნი ოლეგ პავლოვის საკუთრებას.

კომპანია მდებარეობს საქართველოში, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საიდენტიფიკაციო კოდით: 406119178.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო - სარემონტო მასალების და საოჯახო სამეურნეო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ოპერირებს „დომინო“-ს სავაჭრო ნიშნის ქვეშ. 2015 წლის 23 მაისს გაიხსნა მისი პირველი ჰიპერმარკეტი, რომლის საერთო ფართი შეადგენდა 12,000 კვ.მ.-ს და რომელიც განთავსებულია საქართველოში, ქ. თბილისში სავაჭრო ცენტრ „ისტ ფოინთის“ ტერიტორიაზე. 2018 წელს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეფართოვებინათ კომპანიის საქმიანობა და შეიმუშავა 1,000 – 3,000 კვ.მ. ფართის მაღაზიების ახალი ფორმატი, „დომინო მარკეტი“-ს სავაჭრო დასახელებით ოპერირების მიზნით. აღნიშნულის შედეგად, 2019 წლის 2 თებერვალს კომპანიამ გახსნა პირველი „დომინო მარკეტი“-ს ფორმატის მაღაზია ისნის რაიონში, 1,478 კვ.მ. საერთო ფართით, ხოლო 2019 წლის 16 თებერვალს, კომპანიამ გახსნა მეორე „დომინო მარკეტი“-ს ფორმატის მაღაზია დიდი დიდმის რაიონში 1,375 კვ.მ. საერთო ფართით. 2020 წლის 30 სექტემბრის ისნის რაიონში მდებარე მაღაზია დაიხურა იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. #2.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში - ‘GEL’, ‘ლარი’), გარდა გამონაკლისის შემთხვევებისა.

2. კომპანიის სამუშაო გარემო

2020 წლის მარტში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID – 19 – ის პანდემიის შესახებ. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვები. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის მინიშნულამდე დასაყვანად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისიტანციური მუშაობის რეჟიმზე და კარანტინის დროს გაყიდვების უმრავლესობა სრულდებოდა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, კომპანიის საქმიანობაზე არსებული მდგომარეობის გავლენა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. ახალი ან შესწორებული სტანდარტების დანერგვა და ინტერპრეტაცია

კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიების შესწორებები ფასს 16-ში (გაიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორება ითვალისწინებს შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეუძლიათ ასახონ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებდა ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე; საიჯარო

გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე და არ არის არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებში.

3. ახალი ან შესწორებული სტანდარტების დანერგვა და ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

კომპანიამ შეათანხმა სხვადასხვა საიჯარო ქირის დათმობა მოიჯარებთან ქონების იჯარასთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ აღნიშნული დათმობების ნაწილი კვალიფიცირებული იყო ფასს 16-ის შესწორებაში პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებისთვის. შედეგად, კომპანიამ შეამცირა საიჯარო ვალდებულება და აღიარა 705 ათასი ლარის მოგება იჯარის ვალდებულების აღიარების ნაწილობრივ გაუქმებასთან დაკავშირებით სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლებში/(ხარჯებში), 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ კომპანიაზე რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

- შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეფტუალურ საფუძვლებში (გამოიცა 2018 წლის 29 მარტს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).
- ტერმინის „ბიზნესი“ განმარტება – შესწორებები ფასს 3-ში (გამოიცა 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაში შედის შენაძენებთან დაკავშირებით იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).
- ტერმინის „არსებითი“ განმარტება – შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში (გამოიცა 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).
- საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-სა და ფასს 7-ში (გამოიცა 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).

4. ახალი სააღრიცხვო დებულებები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და განმარტებები, რომელიც სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის ან მოგვიანებით, რომელზედაც კომპანია აღნიშნულ თარიღამდე ადრე არ გადავიდა.

შესწორებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა ან შენატანის გაკეთება“ (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ განსაზღვრულ დღეს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ) - აღნიშნული შესწორებები ეხება ფასს 10-ს და ბასს 28-ს მოთხოვნებს შორის არსებულ შეუთავსებლობას ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენისას ან შენატანების გაკეთებისას.

ამ შესწორების ძირითად შედეგს წარმოადგენს ის, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგება ვრცელდება ბიზნესზე. ნაწილობრივი მოგების ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგების ფარგლებში წარმოდგენილია იქნება ის აქტივები, რომლებიც არ ქმნის ბიზნესს, მაშინაც კი, თუ აღნიშნული აქტივები წარმოდგენილია შვილობილი კომპანიის საკუთრებაში. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17, „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოიცა 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს, რომელმაც კომპანიებს მისცა საშუალება, სისრულეში მოეყვანათ ანგარიშგება სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის გართულდა, შეედარებინათ სხვაობრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობა. ფასს 17 წარმოადგენს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების აღსარიცხად, იმ სადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით, რომელთაც ფლობს მზღვეველი. სტანდარტი საჭიროებს კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას და გაზომვას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების (შესრულების ფულადი ნაკადების) რისკებზე დარეგულირებული მიმდინარე ღირებულება, რომელიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ იმ სახით, რაც შესაბამისად დაკვირვებად საბაზრო ინფორმაციას; პლუს (იმ შემთხვევაში, თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი), (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების კომპანიაში გაუნაწილებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიისგან იმ პერიოდზე, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევის დაფარვას, ვინაიდან ისინი თავისუფალნი არიან რისკისგან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებების კომპანია ამჟამად ან სამომავლოდ განიცდის ზარალს, სუბიექტი აღიარებს ზარალს დაუყოვნებლივ.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებებად – ბასს 1-ის ცვლილებები (გამოიცა 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით.

სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს, რომ ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები, გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების

4. ახალი საადრიცხო დებულებები (გაგრძელება)

უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. 'დაფარვა' განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცა 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებაზე, დამამხმარებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 წლებში - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცა 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს, დაქვეითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო 'ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი', როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას.

აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს 'ხელშეკრულების შესრულების ღირებულების' მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამხმარებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3 მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისი მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასიკ 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ელიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შეძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებები ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

4. ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1-ის გამონაკლისი, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკუთრის სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკუთრის სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმდებარებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1-ის გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოიცა 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომლებიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდების გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის 'ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით' საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-

ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შედავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა - ფაზა 2-ის შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში (გამოიცა 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- შესწორებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხონ ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმების შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფში წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ზაზის ექვივალენტურია. სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შედავას ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარეებს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.
- საბოლოო თარიღი ფაზა 1-ის შედავასთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შედავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება, როდესაც ცვლილებები
- ხორციელდება არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შედავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: შესწორებები მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოიცა 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ბასს 1-ში შეიტანეს შესწორებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება, არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული შესწორების მხარდასაჭერად ფასს პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში - 'მატერიალური გადაწყვეტილების მიღება' შეიტანეს შესწორება, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას. კომპანია ამჟამად აფასებს მოცემული შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ბასს 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოიცა 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვა რამე არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია 2019 წლის 1 იანვრიდან ფასს 16-ს ‘ჩკარა’ დამტკიცების შედეგად, ეს პრინციპები საყოველთაოდ მიღებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს გადაფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ქონებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას, კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 ან მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში, რაც აღწერილია ქვემოთ:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებულ ფასებს (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება კომპანიას შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა დაშვებები ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიებად დაყოფაში რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ რეალური ღირებულების გაზომვა იყენებს დაკვირვებად კომპონენტებს, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ამგვარი გაზომვა წარმოადგენს მე-3 დონის გაზომვას. შეფასების კომპონენტების მნიშვნელობა ფასდება რეალური ღირებულების გაზომვის მიხედვით მთლიანობაში.

მოქმედი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში განაგრძობს საქმიანობას. აღნიშნულ ვარაუდთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვების თაობაზე დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ მე-6 შენიშვნა.

უცხოური ვალუტები. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა საქართველოს სახელმწიფო ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”, „ლარი“). იმ ვალუტებში განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას (უცხოური ვალუტები) აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „ეროვნული ბანკი“) მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველ ანგარიშგების დღეს, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულების გადაყვანა ხდება ანგარიშგების დღეს არსებულ განაკვეთებში. გაცვლითი კურსის სხვაობით გამოწვეული მოგება და ზარალი, რომლებიც უკავშირდება ნასესხებ თანხებს, გათვალისწინებული იქნება შემოსავალ-გასავლის ანგარიშში ‘ფინანსური შემოსავალ-გასავლის’ ფარგლებში. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობით გამოწვეული ყველა სხვა მოგება და ზარალი, გათვალისწინებული იქნება შემოსავალ-გასავლის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში, ცალკე ფინანსური ანგარიშგების ხაზის სახით.

გადყვანა წლის დასასრულისთვის დაფიქსირებულ სავალუტო გაცვლით კურსებში არ მოქმედებს იმ არა-ფულად საშუალებებზე, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც ასევე კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაცვლითი კურსები. წლის დასასრულისთვის დაფიქსირებულ სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შემდეგია:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
1 აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო / ლარი	4.0233	3.2095

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მიღებულ შემოსავალს. შემოსავლის აღიარება ხდება გარიგების ღირებულების ოდენობით. გარიგების ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომლის მიღებასაც ელის კომპანია დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის მიმართ გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით აღებული თანხების გამოკლებით.

შემოსავლის აღიარება ხდება ფაქტობრივების, შემოსავლების და დამატებითი ღირებულების გადასახადების გამოკლებით.

საქონლის რეალიზაცია. რეალიზაციის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის კონტროლი გადადის ერთი მხარისგან მეორეზე, ანუ როცა საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს ეძლევა სრული უფლება საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებას. გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქონლის გადაზიდვა მოხდება კონკრეტულ ადგილზე, ცვეთასა და დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები გადავა მომხმარებელზე და მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების პირობები შეწყდება ან კომპანიას გააჩნია ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

კომპანია არ ჰყიდის საქონელს საბითუმო ფასდაკლებით. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე.

კომპანიის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება საავანსო გადახდის პირობებით ან ანგარიშსწორება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემის მომენტისას. იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია შეთანხმდეს გადავადებული ანგარიშსწორების პირობებიც, თუმცა გადავადება არასოდეს აღემატება თორმეტ თვეს, შესაბამისად, არავითარი დაფინანსების ელემენტი არ ჩაითვლება წარმოდგენილად და გარიგების ღირებულება არ კორექტირდება მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის შედეგებთან დაკავშირებით.

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს საქონლის გადაცემას, რადგან ეს არის მომენტი, როდესაც ანაზღაურება არის უპირობო, ვინაიდან მხოლოდ დროის გასვლა არის საჭირო ანგარიშსწორების ვადის დადგომამდე.

მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამა. კომპანია იყენებს ლოიალობის პროგრამას იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლები აგროვებენ წამახალისებელ ქულებს განხორციელებული შესყიდვებისთვის, რაც საშუალებას აძლევს მათ, ისარგებლონ ფასდაკლებით სამომავლო შესყიდვებში. წამახალისებელი ქულებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ქულების გამოსყიდვის დროს. გარიგების ღირებულება განისაზღვრება გაყიდულ საქონელზე და წამახალისებელ ქულებზე მათი შედარებითი დამოუკიდებელი სარეალიზაციო ფასების საფუძველზე. წამახალისებელ ქულებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება რეალიზაციის დროს, რაც კლასიფიცირდება „მიღებული ავანსების“ სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შემდგომ ხელმძღვანელობა ანაწილებს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს ორ კლასად: საცალო და კორპორატიული გაყიდვების შემოსავლებად. საცალო შემოსავალი მოიცავს საცალო კლიენტების მიმართ რეალიზაციას (ძირითადად წარმოდგენილი ფიზიკური პირების მიერ) როგორც ჰიპერმარკეტში განთავსებული საღებავების მეშვეობით, ასევე ვებ-გვერდის მეშვეობით („ელ-ვაჭრობა“). კორპორატიული გაყიდვები სრულდება იურიდიული პირების მიმართ. ორივე შემოსავლის აღიარება ხდება იმავე მომენტში.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებები ითვალისწინებს რამდენიმე მოქმედების შესრულების ვალდებულებას, გარიგების ღირებულება გადანაწილდება ყოველი განცალკევებული მოქმედების შესრულების ვალდებულებაზე დამოუკიდებელი სარეალიზაციო ფასების საფუძველზე.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის რაიმე ხელშეკრულების ფლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის მიმართ დაპირებული საქონლის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ ანგარიშსწორების განხორციელებას შორის პერიოდი აღემატება ერთ წელს. შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს რომელიმე გარიგების ღირებულებას ფულის დროითი ღირებულების მიხედვით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან არ იბეგრება.

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც დაგროვებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, იბეგრება მოგების გადასახადით გაანგარიშებული მთლიან მაჩვენებელზე, რომელიც შემცირებულია საგადასახადო შეღავათით, რაც გამოთვლილია, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა – საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებული რეალური მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას. იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაბეგრვას.

ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო შეღავათის გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება შემოსავალ-გასავლის ანგარიშში ან სხვა სრულ შემოსავალში, პუნქტში - 'სხვა არა-საოპერაციო ხარჯები, წმინდა'.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები მოგების გარდა სხვა პოზიციებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი ექვემდებარება ანგარიშსწორებას საგადასახადო ორგანოების მიმართ იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება, ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღე ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღე-თან მიმართებით დღე-ს ანგარიშგაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღე-ს გადახდას ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების კომპონენტების შემენასთან დაკავშირებით გადახდილი დღე-ს გადავადება ხდება 5-10 წლის ვადით იმ სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც გააჩნიათ 20%-ზე მეტი დღე-გან გათავისუფლებული ბრუნვა.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება №407, რომლის მიხედვითაც ყველა გადასახადთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები, მათ შორის კორპორატიული მოგების გადასახადი, და გადასახადის გადამხდელთა მიერ ყველა გადასახადის გადახდები ჩაითვლება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშში. აღნიშნულის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნება ნეტო-საფუძველზე. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შედეგად მიღებული ნაშთები წარმოდგენილი იქნება 'საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა' სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, საჭიროების შემთხვევაში.

შემდგომი ღირებულებები გათვალისწინებულია აქტივების საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი იქნება, რომ დეტალთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადავა კომპანიაზე და დეტალის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელი იქნება საიმედოდ. უმნიშვნელო სარემონტო და დღიური ტექნიკური მომსახურების ღირებულება აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი დეტალების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი დეტალი ჩამოიწერება.

გაყიდვიდან მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებით მიღებული შემოსავლების შედარებით და აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, 'სხვა არა-საოპერაციო წმინდა ხარჯის' ფარგლებში.

5. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკა (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანს. ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს აღდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მოცემული წლისთვის. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლება საპირისპირო ნიშნით, თუ ადგილი აქვს აქტივის გამოყენებით ღირებულებას ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების ცვლილებას.

მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში მათი თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღება აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მოხმარების ვადის დასასრულისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდის ვადები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ნებისმიერი სახის ცვლილების განხორციელებით იმ შეფასებაში, რომელიც გათვლილი იქნება სავარაუდო საფუძველზე.

ცვეთა არ მოქმედებს მანამ, სანამ აქტივები ითვლება მიმდინარე მშენებლობად.

კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მოხმარების ვადა წლებში
მანქანა-დანადგარები	1-10
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	1-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	სასარგებლო მოხმარების ვადაზე და იჯარის ვადაზე ნაკლები

გამოყენების უფლების მქონე აქტივები. კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა მოწყობილობასა და შენობას მალაზიებისა და საწყობებისთვის. ხელშეკრულებები შესაძლოა შეიცავდეს როგორც საიჯარო, ასევე არა-საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ითვალისწინებს ანაზღაურებას ხელშეკრულებაში საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების მიმართ მათი შედარებითი დამოუკიდებელი ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები თავდაპირველად ანგარიშდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები ანგარიშდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი გაანგარიშების თანხა;
- დაწყების დღეს ან ამ დღემდე გადახდილი იჯარის თანხა, გამოკლებული რაიმე საიჯარო შეღავათი;
- რაიმე თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივების აღდგენის ხარჯები იმ მდგომარეობამდე, რაც მოთხოვნილია იჯარის ხელშეკრულებით.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები, როგორც წესი, გაუფასურდება უფრო ხანმოკლე აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადასა და იჯარის ვადაზე პროპორციული ჩამოწერის მეთოდით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დარწმუნებულია, რომ გამოყენებს შესყიდვის ოფციას, გამოყენების უფლების მქონე აქტივი გაუფასურდება შესაბამისი აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადაზე. გამოყენების უფლების მქონე აქტივის დეტალების გაუფასურება გაანგარიშდება პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით მათი შეფასებული სასარგებლო მოხმარების ვადაზე შემდეგი სახით:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მოხმარების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	სასარგებლო მოხმარების ვადაზე და იჯარის ვადაზე ნაკლები
მანქანა-დანადგარები	4-7
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	სასარგებლო მოხმარების ვადაზე და იჯარის ვადაზე ნაკლები

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ არიან მზად გამოყენებისთვის, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და მოწმდება გაუფასურებაზე ყოველწლიურად. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და

ამორტიზაციას, გადაიხდებოდა გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაეკვემდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ჩანაცვლების ღირებულებას. ჩანაცვლების ღირებულება აღემატება აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელზეც ისინი წარმოქმნიან დამოუკიდებელ ფულად ნაკადებს (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები (გარდა გუდვილისა) გადაიხდებოდა შესაძლო შებრუნებაზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მითითებულია არსებული ხარჯებიდან ყველაზე მცირე ხარჯისა და შესაძლო რეალიზაციის რეალური ღირებულების არჩევის წესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს და აუნაზღაურებად გადასახადებს და სატრანსპორტო, დამუშავების და საქონლოს შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვის ღირებულების განსაზღვრისას გამოკლებულია სავაჭრო ფასდაკლებები, ფასდაკლებები და სხვა მსგავსი დეტალები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება „ფაიფოს“ ანუ „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ მეთოდის საფუძველზე. წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების ყველა სავარაუდო ღირებულება და რეალიზაციის სისრულეში მოსაყვანად საჭირო ხარჯები.

საკონსიგნაციო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა აფასებს კონსიგნაციის პირობების არსებობას ადგილობრივ მომწოდებლებთან გაფორმებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნასყიდობის ხელშეკრულებებში. მიმწოდებლებთან გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომელთა მიხედვითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები არ განხორციელდება მანამ, სანამ შესყიდული საქონელი არ გაიყიდება საბოლოო მომხმარებლებზე და რომლებიც შესაძლებელია დაბრუნდეს გამოსყიდვის მოთხოვნის გარეშე, ჩაითვლება საკონსიგნაციო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებად. იხილეთ შენიშვნა 14.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. წინასწარი ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება სავარაუდოდ შეძენილი იქნება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი ანგარიშსწორება უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად არის კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივზე კონტროლის უფლებას და როდესაც სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა სახის წინასწარი ანგარიშსწორება ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულია. თუ არსებობს მინიშნება, რომ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი ანგარიშსწორების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნეს ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგებისას შეფასების თარიღზე. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, რომლის პირობებშიც აქტივთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები სავაჭრო სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფასწარმოქმნის შესახებ ინფორმაცია რეგულარულ საფუძველზე.

აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში გაშვებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, როგორც კოტირებული ფასის პროდუქტი ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის და სუბიექტის მიერ ფლობილი რიგი ინსტრუმენტებისთვის. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ჩვეულებრივი საბაზრო ყოველდღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი არსებული რაოდენობის ასათვისებლად და ერთჯერადი გარიგებით პოზიციების გაყიდვასთან დაკავშირებული შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან დამოუკიდებელ მხარეებს შორის ბოლოდროინდელ გარიგებებზე დაფუძნებული მეთოდები ან ინვესტიციის მიმღების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებთან დაკავშირებითაც უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მათი დონის მიხედვით: (i) პირველი დონის შეფასებებია შეფასებები აქტიურ ბაზარებზე კოტირებულ (არაკორექტირებულ) ფასებად იდენტიფიცირებული აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებებია შეფასებები მეთოდები, რომლებშიც აღინიშნება ყველა მატერიალური დანახარჯი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირი (როგორც არის ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებიდან გამოყვანილი), და (iii) მესამე დონის შეფასებებია შეფასებები, რომლებიც არ ემყარება მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან ხელმოწვევად საბაზრო მონაცემებს).

გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯებია ის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება გაწეული იქნეს, თუ არ ხორციელდება გარიგება. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოსა და ანაზღაურებას, მარეგულირებელი სააგენტოებისა და საფონდო ბირჟების

მოსაკრებლებს და გადარიცხვის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა თავდაპირველად აღიარებული, ძირითადი თანხის ნებისმიერი დაფარვის გამოკლებით, მაგრამ დაგროვებული პროცენტების დამატებით, ხოლო ფინანსური აქტივებთან მიმართებაში – გაუფასურებით გამოწვეულ ზარალზე ნებისმიერი ჩამოწერილი თანხების გამოკლებით. დაგროვებული პროცენტები მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების და ნებისმიერი პრემიის თუ დისკონტის ამორტიზებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვებული პროცენტებით მიღებული შემოსავალი და ხარჯი დაგროვებული კუპონების შემოსავლისა და ამორტიზირებული დისკონტისა ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული მოსაკრებლების ჩათვლით, მათი არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებლად და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პუნქტების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების შესაბამისი პერიოდზე იმგვარად გადაანაწილების მეთოდი, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის საშუალებითაც ზუსტად ხორციელდება სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორებების ან შემოსავლების დისკონტირება (სამომავლო საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო მოქმედების ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამის შემთხვევებში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის ხელახალი შეფასების მომდევნო თარიღისთვის, პრემიისა და იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო „გაგრძელებას“ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთთან მიმართებაში, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ დგინდება საბაზრო განაკვეთებთან დაკავშირებით.

ამგვარი პრემიების ან დისკონტების ამორტიზება ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა სახის გადახდილ თუ მიღებულ ანაზღაურებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენს შემეწილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებულ აქტივს („POCI“) საწყისი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მოერგება საკრედიტო რისკს, ანუ ის დაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით საწყისი აღიარებისას, ნაცვლად სახელშეკრულებო გადახდებისა.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რაც მორგებულია გარიგებების ფასზე. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას სათანადოდ არის დასაბუთებული გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსვავება სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე საბაზრო გარიგებების საშუალებით, ან შეფასების ისეთი მეთოდებით, რომლებიც მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებების შედეგად მიღებულ მონაცემებს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ECL შედავით აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით გაზომილ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევს უშუალო სააღრიცხვო ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ (FVTPL), „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI) და „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების შექმნის მიზნით – თუ რა არის კომპანიის მიზანი: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვით წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“); ან თუ ზემოაღნიშნული არც (i) და არც (ii) პუნქტი მოქმედებს, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილი და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ყველა იმ სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მეთოდებით მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების დღეს არსებული პორტფელის გარკვეული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას განხილული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, ასევე წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება და როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების შესრულება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ისეთი ბიზნეს-მოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე გაყიდვით, კომპანია განსაზღვრავს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდებს („SPPI“).

თუ სახელშეკრულებო პირობები იწვევს ფულადი ნაკადების დაქვემდებარებას ისეთ რისკებზე ან ცვალებადობაზე, რაც არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVTPL“). მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების („SPPI“) გადახდის შეფასება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას ხდება და არ ექვემდებარება შემდგომში ხელმეორედ შეფასებას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. სუბიექტს არ შეუძლია მისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში და არ მოუხდენია რაიმე რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. კომპანია აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ და სესხის გაცემის ვალდებულებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი რისკების მიმართ, სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ფინანსურ და სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით ყოველ საანგარიშგებო თარიღზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის

5. მნიშვნელოვანი საღირებვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; (ii) ფულის დროით ღირებულებას; და (iii) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიმართ, რაც იყენებს სამუდამო მოსალოდნელი ზარალის დასაშვებ ნორმას ყველა დებიტორული დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება საზიარო საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე (დებიტორული დავალიანებები შესაძლებელია დაჯგუფდეს იგივე გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, სამომხმარებლო რეიტინგის, უზრუნველყოფილი ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწერავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან (ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს, ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - განგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულებზე, სარეალიზაციოდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად, მოკლე პოზიციები ფასიან ქაღალდებში), შემძენის მიერ აღიარებულ პირობით თანხაზე ბიზნეს კომპინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც ამოწურვით არ სრულდება, აღირიცხება როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებებში განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

ფინანსური ინსტრუმენტები - ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წარმოდგენილი წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ სამართლებრივი უფლება და განზრახვა, დაარეგულირონ დავალიანება ურთიერთგაქვითვის გზით, ან მოახდინონ აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად. ამგვარი ურთიერთგაქვითვის უფლება (ა) არ უნდა იყოს მოსალოდნელი სამომავლო შემთხვევებში; და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად განხორციელებადი ყველა შემდეგ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, (ii) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში; და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაღდ ფულს და სხვა, მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება: (i) ტესტის გამო გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გათვალისწინებულია სახელშეკრულებო პირობებში ისე, რომ აღნიშნული მახასიათებელი იმოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს მათ ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და ამგვარი ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირ თანხას და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას; და (ii) რადგან ისინი არ არის მოგებაში ან ზარალში ასახვის საფუძველზე რეალური ღირებულებით შეფასებისთვის განკუთვნილი. მხოლოდ კანონმდებლობით, მაგალითად, გარკვეულ ქვეყნებში მოქმედი სავალო ვალდებულებების იძულებითი რესტრუქტურის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი თავისებურებები გავლენას არ მოახდენს მხოლოდ ძირი თანხის და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდაზე, თუ კანონმდებლობა შემდგომში შეიცვლება. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება იკრძალება ანგარიშგების პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, გათვალისწინებულია სხვა გრძელვადიან აქტივებში.

დებიტორული და სხვა დავალიანებები. დებიტორული და სხვა დავალიანებების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

კრედიტორული და სხვა დავალიანებები. კრედიტორული დავალიანებები ირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და მათი აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების ხარჯის გარეშე, და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან გამომდინარე ვალდებულებები თავდაპირველად ანგარიშდება მიმდინარე ღირებულებით. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითი ფიქსირებული გადახდები), გამოკლებული ნებისმიერი მისაღები საიჯარო შეღავათები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ინდექსს ან განაკვეთს ეფუძნება და გაანგარიშდება თავდაპირველად ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით დაწყების დღეს;
- ის თანხები, რომლებიც მოიჯარე უნდა გადაიხადოს ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში;
- შესყიდვის ოფციის ფასი, თუ კომპანია გონივრულად დარწმუნებულია რომ ამ ოფციას გამოიყენებს, და
- იჯარის შეწყვეტისთვის დაწესებული ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის პირობები ითვალისწინებს კომპანიის მიერ ამ ოფციის გამოყენებას.

ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციები გათვალისწინებულია ქონებისა და მოწყობილობების რიგ იჯარებში კომპანიაში. აღნიშნული ტერმინები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის გასაზრდელად კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების პირობებში. ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციების უმრავლესობას ასრულებს მხოლოდ კომპანია და არა შესაბამისი მეიჯარე. ვადის გაგრძელების ოფციები (ან შეწყვეტის ოფციის შემდგომი პერიოდები) საიჯარო პირობებში შედის იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული დარწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). ვალდებულების გაანგარიშებაში ასევე გათვალისწინებულია ის საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გარკვეული ვადის გაგრძელების ოფციის ფარგლებში.

საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს განაკვეთი ვერ დადგინდება, რაც, როგორც წესი, წარმოადგენს იჯარებთან დაკავშირებულ პირობას კომპანიაში, გამოიყენება კომპანიის დამატებითი სასესხო განაკვეთი, ანუ ის განაკვეთი, რომელსაც კომპანია გადაიხდის გამოყენების უფლების მქონე აქტივის მსგავსი ღირებულების მქონე აქტივის შესაძენად თანხის სესხების შემთხვევაში, მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებითა და უზრუნველყოფით.

დამატებითი სასესხო განაკვეთის განსაზღვრის მიზნით, კომპანია:

- შესაძლებლობის შემთხვევაში, იყენებს უახლეს მესამე მხარის დაფინანსებას, მიღებულს ინდივიდუალური მოიჯარისგან საწყისი პუნქტის სახით, დაკორექტირებულს დაფინანსების პირობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება მესამე მხარის დაფინანსება;
- იყენებს დარიცხვის კუმულაციურ მეთოდს, რომელიც იწყებს რისკისგან თავისუფალ საპროცენტო განაკვეთს, მორგებულს საკრედიტო რისკზე, და
- ასრულებს იჯარისთვის დამახასიათებელ კორექტირებას, მაგალითად, ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

კომპანია ექვემდებარება ცვლადი საიჯარო გადახდების პოტენციურ სამომავლო ზრდას ინდექსის ან განაკვეთის საფუძველზე, რაც არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულებაში, სანამ მათ არ ექნება ადგილი. როდესაც ადგილი ექნება ინდექსზე ან იჯარაზე დაფუძნებულ საიჯარო გადახდებში კორექტირებას, საიჯარო ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტირდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის მიმართ.

საიჯარო გადახდები გადანაწილდება ძირ და საფინანსო ხარჯს შორის. საფინანსო ხარჯი ირიცხება მოგებაზე ან ზარალზე იჯარის ვადის განმავლობაში იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი იჯარის დარჩენილ საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით თითოეული პერიოდისთვის.

სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში იჯარის ხარჯის ოპტიმიზების მიზნით, კომპანია გარკვეულ შემთხვევებში უზრუნველყოფს ნარჩენი ღირებულების გარანტიებს მოწყობილობების იჯარასთან დაკავშირებით. კომპანია თავდაპირველად აფასებს და აღიარებს იმ თანხებს, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში საიჯარო ვალდებულების ნაწილის სახით. როგორც წესი, საიჯარო ვადის დაწყებისას მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება თანაბარია ან აღემატება გარანტირებულ ოდენობას, და შესაბამისად კომპანია არ მოელის რაიმეს გადახდას გარანტიის ფარგლებში. ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულს, მოსალოდნელი

ნარჩენი ღირებულებები განიხილება და დაკორექტირდება შესაბამისად იმისათვის, რომ ასახოს რეალური ნარჩენი ღირებულებები, მიღწეული შედარებითი აქტივებისა და სამომავლო ფასების შესახებ მოლოდინების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მაგალითად, ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

თანამშრომლების ანაზღაურება. ხელფასები, სარგო, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (როგორცაა ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ბაღები) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ გაწევს ხარჯებს საპენსიო ან სხვა ანაზღაურებას შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ თავისი თანამშრომლებისთვის.

6. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დასკვნები მუდმივად კონტროლდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ დასკვნების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე აკეთებს სხვა დასკვნებს. დასკვნები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მოქმედი საწარმო. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის წარმოების პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა.

კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მიზანშეწონილია, ვინაიდან:

- კომპანიის უარყოფითი წმინდა ვალდებულებების პოზიცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 22,508 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 15,362 ათას ლარს), რაც ძირითადად გამოწვეულია ნასესხები სახსრებით უშუალოდ მშობელი კომპანიისგან, რაც შეადგენდა 28,982 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 21,918 ლარს). სესხი ძირითადად გამოყენებულ იქნა კომპანიის საქმიანობის საწყისი ეტაპის დასაფინანსებლად და თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ნასესხები იქნა 2015 წლის ბოლოსთვის, როდესაც გაიხსნა კომპანიის პირველი ჰიპერმარკეტი.
- კრედიტის მთლიანი თანხა შეადგენდა 10,000 ათას აშშ დოლარს, რაც გამოყოფილია კომპანიის მიმართ 2025 წლის 31 დეკემბრისთვის. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული აქვს სესხის მხოლოდ ნახევარი. სესხი დარიცხულ პროცენტთან ერთად გადახდილ უნდა იქნას 2035 წლის 31 დეკემბერს.
- ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საოპერაციო საქმიანობიდან დადებითი ფულადი ნაკადების შემოდენა, სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე, შენარჩუნდება, ვინაიდან სამომავლო პერიოდისთვის არ არის პროგნოზირებული მნიშვნელოვანი საოპერაციო ფულადი ხარჯი.
- კომპანიის დაგროვილი ზარალი ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო ხარჯით ზემოაღნიშნულ ნასესხებ სახსრებზე და შესაბამისი უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალით.
- მშობელმა კომპანიამ წარმოადგინა მხარდაჭერის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ „Terminal West (DIY) Holdings Limited“ პასუხს აგებს და განაგრძობს კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას, რათა განაგრძოს თავისი საქმიანობა, წერილში მითითებული თარიღიდან (2021 წლის 22 მარტი) მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

თუ კომპანია აღარ იქნება მოქმედი საწარმო, აუცილებელი გახდება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება და გაიზრდება სესხი დამატებითი ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას.

დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება ეფუძნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებული

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

გამოცდილების შესაბამისად. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ ცვეთას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც აქტივის გამოყენება ხდება. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილება იწვევს მომავალი ცვეთის ნორმების კორექტირებას.

იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო გამოყენების ვადები განსხვავდება ხელმძღვანელობის შეფასებისგან 10%-ით, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ცვეთაზე გავლენა გაზრდის მას 79 ათასი ლარით ან შემცირებს მას 79 ათასი ლარით (2019 წ.: გაზრდა 89 ათასი ლარით ან შემცირება 89 ათასი ლარით).

6. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები (გაგრძელება)

გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვეთა. საიჯარო ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც წარმოშობს ეკონომიკურ სტიმულს იმისათვის, რომ არჩევანი შეჩერდეს ვადის გახანგრძლივების ვარიანტზე ან იჯარის შეუწყვეტლობის ვარიანტზე. ვადის გახანგრძლივების ვარიანტი (ან შეწყვეტის ვარიანტების შემდგომი პერიოდები) გათვალისწინებულია მხოლოდ საიჯარო ვადაში იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარის ვადა გაგრძელდება (ან არ იქნება შეწყვეტილი).

უძრავი ქონების იჯარის შემთხვევაში, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი ფაქტორები:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები იჯარის შეწყვეტისთვის (ან ვადის გაუგრძელებლობისთვის), კომპანია, როგორც წესი, იქნება გონივრულად დარწმუნებული, რომ განაგრძოს (ან არ შეწყვიტოს) იჯარა;
- იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ იჯარით აღებული ქონების ნებისმიერ მოპირკეთებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, კომპანია, როგორც წესი, იქნება გონივრულად დარწმუნებული, რომ განაგრძოს (ან არ შეწყვიტოს) იჯარა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია განიხილავს სხვა ფაქტორებსაც, იჯარის ისტორიული ხანგრძლივობის, ხარჯის და საქმიანობის შეწყვეტის ჩათვლით, რაც აუცილებელი იქნება იჯარით აღებული აქტივის ჩასანაცვლებლად.

7. შემოსავალი

კატეგორიების მიხედვით მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების განფასება შემდეგია:

ათას ლარში	2020	2019
<i>მოცემულ დროში აღიარებული საქონლის რეალიზაცია</i>		
საცალო რეალიზაცია	49,237	52,937
კორპორატიული რეალიზაცია	7,477	7,716
სულ რეალიზაცია	56,714	60,653
გამოკლებული: რეალიზაციის დაბრუნებები	(865)	(998)
სულ შემოსავალი	55,849	59,655

8. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

ათას ლარში	2020	2019
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება	39,936	44,388
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ღირებულება	212	239
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკარგის ღირებულება	203	180
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	40,351	44,807
გამოკლებული: ფასდაკლება შესყიდვებზე	(223)	(179)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	40,128	44,628

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

ათას ლარში	2020	2019
სახელფასო ხარჯი	4,232	4,882
ცვეთის ხარჯი (შენიშვნა 12, 13)	2,941	3,060
იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი (შენიშვნა 21)	764	853
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	668	404
რეკლამის ხარჯი	541	727
საბანკო მოსაკრებლები	466	481
კომუნალური მომსახურების ხარჯი	419	488
საიჯარო ხარჯი (შენიშვნა 21)	206	365
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	169	229
მიწოდების სხვა ხარჯი	86	110
სულ რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	10,492	11,599

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ათას ლარში	2020	2019
სახელფასო ხარჯი	2,968	2,856
ოფისის იჯარა	158	140
დაზღვევის ხარჯი	152	134
საკონსულტაციო ხარჯი	115	130
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 12)	94	108
ტრანსპორტირების ხარჯი	69	47
მივლინებების ხარჯი	57	118
კომუნიკაციის ხარჯი	49	45
სხვა	507	360
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	4,169	3,938

11. ფინანსური ოპერაციების ხარჯი, წმინდა

ათას ლარში	2020	2019
უცხოურ ვალუტაში გაცვლით მიღებული ზარალი, წმინდა	5,114	2,213
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	2,024	2,280
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	1,174	1,357
სულ ფინანსური ოპერაციების ხარჯი	8,312	5,850

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

12. ძირითადი საშუალებები

ათას ლარში	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და საოფისე მოწყობილობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მიმდინარე მშენებლობა (CIP)	სულ
ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,260	263	368	678	896	4,465
დამატებები	773	13	210	75	86	1,157
განკარგვა	(16)	-	-	-	-	(16)
გადაცემა	618	11	-	262	(891)	-
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	(640)	-	(184)	(104)	(13)	(941)
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,995	287	394	911	78	4,665
დამატებები	224	5	15	64	68	376
განკარგვა	(45)	(10)	-	(193)	-	(248)
გადაცემა	48	-	-	-	(48)	-
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	564	-	184	104	12	(864)
ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,786	282	593	886	110	5,657
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,197	169	163	296	-	1,825
ხარჯი წლისთვის	615	52	69	165	-	901
განკარგვისას	(11)	-	-	-	-	(11)
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	(79)	-	(19)	(11)	-	(109)
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,722	221	213	450	-	2,606
ხარჯი წლისთვის	537	30	78	149	-	794
განკარგვისას	(18)	(10)	-	(52)	-	(80)
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	71	-	20	12	-	103
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,312	241	311	559	-	3,423
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,273	66	181	461	78	2,059
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,474	41	282	327	110	2,234

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელიც სრულად იქნა გაცვეთილი და ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგენდა დაახლოებით 741 ათასსა და 97 ათასს, შესაბამისად.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

13. გამოყენების უფლების მქონე აქტივები

კომპანია იჯარით ღებულობს სხვადასხვა მოწყობილობასა და შენობას მაღაზიებისა და საწყობებისთვის. იჯარის ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება 2-დან 10 წლამდე ფიქსირებული პერიოდით, თუმცა შესაძლოა ჰქონდეს ვადის გახანგრძლივების ოფცია, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

2018 წლის 31 დეკემბრამდე, ქონებისა და მოწყობილობების იჯარა კლასიფიცირებული იყო ფინანსურ იჯარად ან საოპერაციო იჯარად. 2019 წლის 1 იანვრიდან, იჯარების აღიარება მოხდა გამოყენების უფლების მქონე აქტივებად და შესაბამის ვალდებულებად იმ თარიღიდან, როდესაც იჯარით აღებული აქტივი გახდება ხელმისაწვდომი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის.

ათას ლარში	შენობა-ნაგებობები	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	12,057	556	12,613
დამატებები	-	385	385
ცვეთის ხარჯი	(2,246)	(109)	(2,355)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	9,811	832	10,643
დამატებები	116	-	116
განკარგვა	(311)	-	(311)
ხელახალი შეფასების ეფექტი	203	-	203
გადაცემა ძირითად საშუალებებზე	-	(761)	(761)
ამორტიზაციის საფასური	(2,193)	(11)	(2,204)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	7,626	60	7,686

კომპანიამ აღიარა საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად:

ათას ლარში	2020 წ.	2019 წ.
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,175	2,947
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	8,011	8,398
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	10,186	11,345

2020 წლის ფინანსურ ხარჯში გათვალისწინებული საპროცენტო ხარჯი იყო 1,152 ათასი ლარი (2019 წ.: 1,357 ათასი ლარი).

გარკვეული ქონების იჯარები ითვალისწინებს ცვალებადი გადახდის პირობებს, რაც დაკავშირებულია რეალიზაციასთან. ცვალებადი გადახდის პირობები გამოიყენება სხვადასხვა მიზეზის გამო, ფიქსირებული ხარჯის გამოთვლის საფუძლის მინიმუმამდე დაყვანის ჩათვლით. ცვალებადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია რეალიზაციაზე, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ადგილი აქვს ამ გადახდების გამომწვევ პირობას. გაყიდვების 10%-იანი ზრდა კომპანიის ფარგლებში არსებული ყველა ქონების მასშტაბით ამგვარი ცვალებადი იჯარის ხელშეკრულებებთან ერთად, გაზრდის სრულ საიჯარო გადახდებს დაახლოებით 21 ათასი ლარით.

2020 წელს იჯარებთან დაკავშირებით ფულის ჯამური გადინება შეადგენდა 3,812 ათას ლარს (2019 წ.: 3,632 ათასი ლარი).

ცვალებადი იჯარის გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არაა გათვალისწინებული 2020 წლის რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯში შეყვანილ საიჯარო ვალდებულებებში, შეადგენდა 206 ათას ლარს (2019 წ.: 365 ათასი ლარი).

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

14. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

<i>ათას ლარში</i>	2020	2019
სანიტარული ტექნიკა	2,300	2,498
ინსტრუმენტები	1,938	1,955
ფილები	1,847	1,654
ბალის მცენარეები	1,449	1,699
იატაკი	1,410	1,175
კარი, სადურგლო ნაკეთობები	924	1,064
სამშენებლო მასალები	654	729
ელექტროგანათება	498	440
შპალერი / ტექსტილის დეკორაცია	298	478
საყოფაცხოვრებო საქონელი	198	239
საქონელი გზაში	181	399
ავეჯი	40	75
სხვა ინვენტარი	87	412
სულ სასაქონლო-მატერიალური ინვენტარი 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,815	12,817

ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან ერთად, კომპანიას ასევე გააჩნდა 5,428 ათასი ლარისა და 6,116 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, რაც წარმოდგენილი იყო კონსიგნაციის პირობებში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება, აღიარებული ხარჯის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც წარმოდგენილი იყო რეალიზებული პროდუქტების ღირებულება, შეადგენდა 39,936 ათას ლარს (2019 წ.: 44,388 ათასი ლარი).

11,728 ათასი ლარის (2019 წ.: 12,405 ათასი ლარი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია წმინდა რეალიზებადი ღირებულებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

15. ფული და ფულის ექვივალენტები

<i>ათას ლარში</i>	2020	2019
ნაღდი ფული ბანკებში	1,298	444
ნაღდი ფული გადაცემისას	247	173
ნაღდი ფული ხელზე	44	40
სულ ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,589	657

ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შეიძლება შეჯამდეს შემდეგი სახით ფიჭის

რეიტინგის მიხედვით 31 დეკემბრის:

<i>ათას ლარში</i>	2020	2019
<i>არც ვადაგადაცილებული და არც დარღვეული</i>		
- BB- შეფასებული	1,298	444
სულ ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,298	444

საკრედიტო ზარალის მოდელის (ECL) რეზერვი არ იქნა გამოყენებული ფულის და ფულის ექვივალენტების, აგრეთვე დებიტორული დავალიანების მიმართ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანების ნაშთები უმნიშვნელოა, ცალკე განმარტებითი შენიშვნები დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით არ მომზადებულია.

16. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 2014 წლის 15 მაისს შედგენილი წესდების მიხედვით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100 ლარით. მოგვიანებით, 2014 წლის სექტემბერში, კომპანიის ერთპიროვნულმა პარტნიორმა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის 150 ათასი ლარით და 2016 წლის იანვარში - 1,000 ათასი ლარით გაზრდის თაობაზე ნასესხები სახსრების კომპანიის კაპიტალად გარდაქმნის გზით.

17. ნასესხები სახსრები და საიჯარო ვალდებულებები

ათას ლარში	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:					
სესხი „Terminal West (DIY) Holdings“- მშობელი კომპანიისგან	აშშ დოლარი	8%	31/12/2020 35	841	-
არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი ნასესხები სახსრები:					
სესხი „Terminal West (DIY) Holdings“- მშობელი კომპანიისგან	აშშ დოლარი	8%	31/12/2020 35	28,141	21,918
სულ ნასესხები სახსრები				28,982	21,918

2014 წლის 1 სექტემბერს კომპანიამ აიღო 10,000 ათას აშშ დოლარამდე ოდენობის სესხი მშობელი კომპანიისგან ხელშეკრულებით გაწერილი დაფარვის ვადით 2022 წლის 31 დეკემბრამდე და შეთანხმებული წლიური საპროცენტო განაკვეთით 11%-ის ოდენობით. ხელშეკრულების მიხედვით, ძირი თანხისა და დარიცხული პროცენტის ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო დაფარვის ვადის დადგომისას. 2020 წლის 18 დეკემბერს მხარეები შეთანხმდნენ სესხის ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებაზე, შეცვალეს ფულადი ნაკადები, გაახანგრძლივეს სესხის დაფარვის ვადა 2035 წლის 1 დეკემბრამდე და შეამცირეს საპროცენტო განაკვეთი (მარტივი) 8%-მდე, აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს. კომპანიამ განიხილა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორები იმ ფაქტის დადგენის მიზნით, ჰქონდა თუ არა არსებითი მნიშვნელობა სესხის ცვლილებას. გამომდინარე იქიდან, რომ ვალდებულება დასრულდა მისი დაფარვის ვადის დადგომისას გადასინჯვის თარიღის მდგომარეობით და გაახანგრძლივდა მნიშვნელოვანი დამატებითი ვადით, რამაც გამოიწვია გადასინჯული განაკვეთის მიახლოება მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან ახალი პირობებით (ახალი დაფარვის ვადის ჩათვლით), სესხის ცვლილება შეფასდა არსებითად და გამოიწვია თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების გაბათილება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებების ფარგლებში მინიმალური იჯარის გადახდები და მათი მიმდინარე ღირებულება შემდეგია:

მინიმალური იჯარის გადახდები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,155	9,429	-	12,584
გამოკლებული სამომავლო ფინანსური ხარჯი	(980)	(1,418)	-	(2,398)
მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,175	8,011	-	10,186
მინიმალური იჯარის გადახდები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,340	9,723	662	14,725
გამოკლებული სამომავლო ფინანსური ხარჯი	(1,393)	(1,975)	(12)	(3,380)
მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,947	7,748	650	11,345

17. ნასესხები სახსრები და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

იჯარით აღებული აქტივები მე-13 შენიშვნაში მითითებული საბალანსო ღირებულებით ეფექტურად არის დაგირავებული ფინანსური იჯარის ვალდებულებებთან დაკავშირებით, რა შემთხვევაში საიჯარო აქტივებზე უფლებები გადავა მეიჯარეზე ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა შეთანხმება

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე დეტალურად არის ნაჩვენები ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებებში განხორციელებული ცვლილებები, ფულადი და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ფულადი ნაკადები იყო ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება კლასიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

ათას ლარში	2020 წლის 1 იანვარი	ფინანსური ფულადი ნაკადები (i)	სხვა ცვლილებები (ii)	სავალუტო გაცვლითი კურსის ზარალი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	21,918	1,425	2,024	3,615	28,982
საიჯარო					
ვალდებულება	11,345	(3,812)	1,154	1,499	10,186
სულ	33,263	(2,387)	3,178	5,114	39,168

ათას ლარში	2019 წლის 1 იანვარი	ფინანსური ფულადი ნაკადები (i)	სხვა ცვლილებები (ii)	აბალი სტანდარტების მიღება	სავალუტო გაცვლითი კურსის ზარალი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები	18,014	248	2,280	-	1,376	21,918
საიჯარო						
ვალდებულება	461	(3,632)	1,622	12,057	837	11,345
სულ	18,475	(3,384)	3,902	12,057	2,213	33,263

(i) საბანკო სესხებიდან, დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხებიდან, სხვა ნასესხები სახსრებიდან წარმოდგენილი ფულადი ნაკადები და საიჯარო ვალდებულებები ქმნის ნასესხები სახსრებიდან და/ან საიჯარო ვალდებულებებიდან და ნასესხები სახსრებისა და/ან საიჯარო ვალდებულებების გადახდებიდან მიღებული შემოსავლების წმინდა თანხას ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

(ii) სხვა ცვლილებები მოიცავს პროცენტის დარიცხვასა და წმინდა გადახდებს.

18. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები

ათას ლარში	2020	2019
კრედიტორული დავალიანებები ადგილობრივი მიმწოდებლების მიმართ	5,785	6,936
კრედიტორული დავალიანებები უცხოელი მიმწოდებლების მიმართ	1,598	1,474
სულ კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,383	8,410

19. ფინანსური რისკების მართვა

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება იმ საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, სადაც ის არსებობს, ასევე შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა გადაწყვეტილება აუცილებელია სავარაუდო რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის. საქართველო კვლავც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მომველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია რეალურ ღირებულებებთან მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები. განცხადებული ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია მათ რეალურ ღირებულებებთან.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის გაზომვის გამოყენებით და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მე-3 დონის გაზომვის გამოყენებით.

ფინანსური რისკების მართვა. კომპანიაში რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკისადმი დაქვემდებარებულობა შენარჩუნდეს აღნიშნულ ფარგლებში. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა განკუთვნილია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისი წესით განხორციელების უზრუნველსაყოფად, ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

კაპიტალის რისკის მართვა. კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს კომპანიის ფარგლებში წარმოდგენილი სუბიექტების დაშვების პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს წმინდა დავალიანებას (ნასესხები სახსრების დაფარვა ნაღდი ფულითა და საბანკო ნაშთებით) და კომპანიის კაპიტალისგან (რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას). კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის გარიგებების საფუძველზე კონტრაგენტებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები და ბალანსგარე ანგარიშის ვალდებულებები.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. არ არის გაცემული ფინანსური გარანტიები, კრედიტის გასაზრდელი ვალდებულებები, მიუღებელი საკრედიტო ხაზები და ექსპორტის/იმპორტის აკრედიტივები.

კომპანიის ბიზნეს მოდელის გათვალისწინებით (უმნიშვნელო დებიტორული ნაშთები და ნაღდი ფულით გადახდილი შემოსავალი), ჩათვლება, რომ საკრედიტო რისკი ვერ მოახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას კომპანიაზე იმ მიზეზით, რომ კომპანიას არ განუხორციელებია ინვესტიცია რთული საკრედიტო მართვის სისტემებში.

შეზღუდვები. კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას შეზღუდვების დაწესებით მიღებული რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც უკავშირდება კონტრაგენტებს ან კონტრაგენტების ჯგუფებს. საკრედიტო რისკების დონეზე შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ასეთი რისკების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

საკრედიტო შეზღუდვას აანალიზებს და ამტკიცებს ხელმძღვანელობა. საკრედიტო რისკების მიმართ დაუცველობის მონიტორინგის მიზნით, მუშავდება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, რაც ფოკუსირებული იქნება მომხმარებლის ბიზნეს და ფინანსურ საქმიანობაზე. მომხმარებლებთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთობა, რასაც თან ახლავს გაუარესებული კრედიტუნარიანობა, წარედგინება და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების საქმიანობას და თვალყურს ადევნებს გადასახდელ ნაშთებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

<i>ათას ლარში</i>	2020	2019
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	870	866
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 15)	1,589	657
სულ ფინანსური აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,459	1,523

<i>ათას ლარში</i>	2020	2019
ფინანსური ვალდებულებები		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები (შენიშვნა 17)	699	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (შენიშვნა 17)	28,283	21,918
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	8,011	8,398
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,175	2,947
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება (შენიშვნა 18)	7,383	8,410
სულ ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	46,551	41,673

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

უცხოური სავალუტო რისკი. უცხოური სავალუტო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რომელსაც ახორციელებს კომპანია. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტებში. კომპანია არ სარგებლობს რაიმე წარმოებული აქტივით სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების მართვის მიზნით.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

<i>ათას ლარში</i>	2020 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო
	1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი	1 ევრო = 4.0233 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	502	28
სულ ფინანსური აქტივები	502	28
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	28,283	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	8,011	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	2,175	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	334	1,066
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,502	1,066
სულ წმინდა პოზიცია	(39,000)	(1,038)

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.2095 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	7	9
სულ ფინანსური აქტივები	7	9
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	21,918	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	8,398	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	2,912	35
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	691	1,102
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,919	1,137
სულ წმინდა პოზიცია	(33,912)	(1,128)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის გამყარების / შესუსტების მიმართ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში 20%-ით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩაუტარდა შესაბამის ვალუტებში წარმოდგენილ ფულად საშუალებებს ანგარიშგების თარიღისთვის.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადის გადახდამდე	(7,800)	7,800	(208)	208

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადის გადახდამდე	(6,782)	6,782	(226)	226

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები – მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთანავე, კომპანიის ფინანსური პოზიცია შესაძლებელია იცვლებოდეს იმ დროისთვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ჰქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებში ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები ზემოაღნიშნულ მგრძნობელობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს კომპანიის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკში იგულისხმება კომპანიის მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მის არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეთანხმებული დაფარვის ვადებით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე ყველაზე ადრეულ თარიღზე, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილში წარმოდგენილია როგორც პროცენტის, ასევე ძირი თანხის ფულადი ნაკადები. ვინაიდან პროცენტი წარმოადგენს ცვალებად განაკვეთებს, არადისკონტირებული ოდენობა მიღებულია საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან აღრიცხვის პერიოდის დასასრულს.

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	7,383	-	-	-	-	7,383
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	266	590	3,140	20,997	36,343	61,336
სულ	7,649	590	3,140	20,997	36,343	68,719
ათას ლარში						
2019 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	8,410	-	-	-	-	8,410
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	374	749	3,217	40,163	663	45,166
სულ	8,784	749	3,217	40,163	663	53,576

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებაზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ აქვს დანერგილი ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის. კომპანიას გააჩნია პროცენტის სესხები, რომელთა საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია და შეთანხმებულია ხელშეკრულებით.

20. ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

გაზომვის მიზნით, ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები, ასახული მოგებაში ან ზარალში (FVTPL); (ბ) სავალო ინსტრუმენტები, ასახული სრულ შემოსავალში (FVOCI), (გ) წილობრივი ინსტრუმენტები, ასახული სრულ შემოსავალში (FVOCI), და (დ) ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (AC). მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს გააჩნია ორი ქვე-კატეგორია: (i) აქტივები, რომლებიც სავალდებულოდ იზომება მოგებაში ან ზარალში (FVTPL), და (ii) აქტივები, რომლებიც განისაზღვრება ამგვარად თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. გარდა ამისა, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება ქმნის ცალკე კატეგორიას.

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები

მხარეები ზოგადად დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები და 2020 წლისთვის გარიგებები იყო შემდეგი:

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

		2020 წლის 31 დეკემბერი	
		აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
ათას ლარში	აქციონერები		
გრძელვადიანი საავანსო გადახდები	-	248	248
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	12	12
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	910	910
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	2,156	2,156
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	8,011	8,011
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699	-	699
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	28,283	-	28,283
შემოსავალი	-	71	71
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი (იჯარა, იჯარასთან დაკავშირებული და კომუნალური ხარჯი)	-	206	206
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	158	158
ფინანსური ხარჯი, წმინდა	2,024	2,161	4,185
		2019 წლის 31 დეკემბერი	
		აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
ათას ლარში	აქციონერები		
გრძელვადიანი საავანსო გადახდები	-	248	248
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	3	3
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	1,962	1,962
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	2,587	2,587
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	8,382	8,382
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	21,918	-	21,918
შემოსავალი	-	99	99
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი (იჯარა, იჯარასთან დაკავშირებული და კომუნალური ხარჯი)	-	365	365
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	140	140
ფინანსური ხარჯი, წმინდა	3,656	1,684	5,340

კომპანიის ხელმძღვანელობა შედგებოდა 6 თანამშრომლისგან 2020 და 2019 წლებში. კომპანიის ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება, წარმოდგენილი თანამშრომლის ხანმოკლე სარგებლით, 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 1,231 ათას ლარს და 1,166 ათას ლარს, შესაბამისად.

22. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ის ხშირად წარმოადგენს ცვლილებების, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების საგანს, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთგამომრიცხავია ან განსხვავებულად ინტერპრეტირდება სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ. გადასახადები ხშირად გადაიხედება და მათთან დაკავშირებით ხშირად ტარდება კვლევები რამდენიმე სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო დარიცხვები.

საგადასახადო წელიწადი რჩება ღია განსახილველად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ გარემოებებში საგადასახადო წელიწადი შესაძლებელია დარჩეს ღია უფრო მეტი ხნით. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს საგადასახადო რისკებს საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

22. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები (გაგრძელება)

სატრანსფერო ფასწარმოქმნა. სატრანსფერო ფასწარმოქმნის (TP) შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, როგორც წესი, შესაბამისობაშია საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან, რომლებიც დადგენილია ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები. სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას კონტროლირებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით (ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ტრანზაქციები კავშირის არმქონე მხარეებს შორის), თუ ტრანზაქციის ფასი არ არის კომერციული გარიგების. ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მან დაადგინა, რომ შიდა კონტროლი უნდა იყოს შესაბამისობაში სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ კანონმდებლობასთან.

კონტროლირებული ტრანზაქციებიდან წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება მათი რეალური ტრანზაქციის ფასის საფუძველზე. სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესები განვითარებასთან ერთად შესაძლებელია, რომ ამგვარი ფასები აღმოჩნდეს გამოწვევის წინაშე. ამგვარი გამოწვევის ზეგავლენის სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია; მიუხედავად ამისა, იგი შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ფინანსური მდგომარეობისთვის და/ან კომპანიის საქმიანობისთვის.

საოპერაციო გარემო. კომპანია ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრების კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

ვალდებულებების შესრულება. კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მის ნასესხებ სახსრებთან (შენიშვნა 17). ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა განაპირობოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, მათ შორის, სესხების რეკლასიფიკაცია გრძელვადიანიდან მოკლევადიან ვალდებულებებად, ვინაიდან ისინი შესაძლებელია დაექვემდებაროს ანგარიშსწორებას მოთხოვნისთანავე, გამსესხებლის ერთპიროვნული შეხედულებისამებრ. კომპანია ასრულებდა ვალდებულებებს 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

23. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

2021 წლის 1 თებერვალს, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა“ გააფორმა დამატებითი სესხის ხელშეკრულება თავის მშობელ კომპანიასთან „TERMINAL WEST (DIY) HOLDINGS LIMITED“, 8% საპროცენტო განაკვეთით წელიწადში, 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯამური ლიმიტით, ათვისების პერიოდით - 2025 წლის 31 დეკემბერი და დაფარვის ვადით - 2035 წლის 31 დეკემბერი. სესხის ხელშეკრულების მიზანი იყო ძირითადი საშუალებების შესყიდვისა და სამუშაო კაპიტალის დაფინანსება ახალი მაღაზიის გასახსნელად, რომელიც განთავსდება შემდეგ მისამართზე: ბელიაშვილის ქუჩის გაგრძელება, გლდან-დიდმის დამაკავშირებელი მაგისტრალის ჩრდილოეთი, თბილისი, საქართველო.

2021 წლის 3 მარტს, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა“ დამატებით შეამცირა მშობელი კომპანიისგან „TERMINAL WEST (DIY) HOLDINGS LIMITED“-სგან არსებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში აღებული სესხი 200 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას არ ჰქონია ადგილი, რომელიც მოითხოვდა შესწორებას ან გამჟღავნებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.

ხელმძღვანელობა წარმოადგენს წინამდებარე ხელმძღვანელობის ანგარიშს და შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ (შემდგომში - „კომპანია“) აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

დაფუძნება

კომპანია დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისში, 2014 წლის მაისში, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების თანახმად. კომპანიას აკონტროლებს „Terminal West (DIY) Holdings Limited“, დაფუძნებული კვიპროსში, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%-ს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და ოპერაციების არსი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების და საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, „თვითმომსახურების“ ტიპის მაღაზიების ქსელის საშუალებით, „დომინოს“ სავაჭრო ნიშნის სახელწოდებით. აღნიშნული სავაჭრო ნიშანი შეიქმნა და რეგლამირებულ იქნა ადგილობრივად. კომპანიის შიდა პოლიტიკა და პროცედურები და მარკეტინგული საქმიანობა ვითარდება კომპანიის ფარგლებში.

ვაჭრობის თვალსაზრისით, კომპანია კონცენტრირდება და საკუთარ თავს ექსპერტად მიიჩნევს საქონლის შემდეგ ძირითად კატეგორიებში: სამშენებლო მასალები, ინსტრუმენტები, სანიტარული მოწყობილობები, ფილები, იატაკის საფარი, მებაღეობა და მცენარეები.

კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის, სამომავლო მოვლენებისა და საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის განვითარება დღემდე, ფინანსური შედეგები და მდგომარეობა, როგორც ეს წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ითვლება დამაკმაყოფილებლად.

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მთლიანმა მოგებამ შეადგინა 15,721 ათასი ლარი (2019 წ.: 15,027 ათასი ლარი), საოპერაციო მოგება განისაზღვრა 773 ათასი ლარით (2019 წ.: საოპერაციო ზარალი შეადგენდა 539 ათას ლარს) და ზარალი მოცემული წლისთვის იყო 7,146 ათასი ლარი (2019 წ.: 7,286 ათასი ლარი). მთლიანი მოგების ზრდა ძირითადად შემდეგი ფაქტორებით არის განპირობებული: 1. ორგანული გაყიდვების ზრდა უკვე დაფუძნებულ და ექსპლუატაციაში მყოფ სარეალიზაციო პუნქტში - „ისთ ფოინთში“ მდებარე ჰიპერმარკეტში; 2. ახალი „დომინო მარკეტის“ ფორმატის მაღაზიების გახსნა; 3. კომპანიის კომერციული და ფინანსური განყოფილებების მიერ შესყიდვის ხარჯების და შესაბამისი მთლიანი მარჟების მუდმივი კონტროლი; 4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისისა და დანაკარგების შედეგად გამოწვეული ხარჯების კონტროლის ქვეშ მოქცევა და მრეწველობის საშუალო საზღვრების ფარგლებში შენარჩუნება. შესაბამისი წლის დანაკარგი ძირითადად გამოწვეულია 8,312 ათასი ლარის (2019 წ.: 5,850 ათასი ლარის) ოდენობის ფინანსური ხარჯით.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებებმა გადააჭარბა მის აქტივებს 22,508 ათასი ლარით (2019 წ.: 15,362 ათასი ლარით), რაც ძირითადად განპირობებულია გადაუხდელი სესხის ძირითადი თანხითა და დარიცხული პროცენტის ნაშთით მისი მშობელი კომპანიის მიმართ, რაც შეადგენს 28,982 ათას ლარს (2019 წ.: 21,918 ათას ლარს). კომპანიამ მიიღო ფორმალური მხარდაჭერის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ მშობელი კომპანია გააგრძელებს კომპანიის ფინანსური დახმარების გაწევას, რათა მან განაგრძოს საქმიანობა წერილში მითითებული თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

კომპანია გეგმავს შეიმუშაოს და გაზარდოს მისი ამჟამინდელი საბაზრო წილი, თავისი მომხმარებლების მიმართ განსაკუთრებული საცალო ვაჭრობის გამოცდილების უზრუნველყოფით, მისი ფართო ასორტიმენტის გაზრდით და დარეგულირებით, ასევე მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფით. 2017 წელს კომპანიამ ჩამოაყალიბა და წარმატებით გაუშვა ექსპლუატაციაში დამატებითი სარეალიზაციო პუნქტი - ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმა, რაც უქმნის მომხმარებელს კომფორტს, აძლევს რა მათ საშუალებას მიიღონ იგივე ასორტიმენტი და მომსახურება, კომპანიის მაღაზიებში ფიზიკურად სტუმრობის გარეშე.

გარდა ამისა, 2018 წელს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მაღაზიების ახალი ფორმატის შექმნასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან ექსპლუატაციაში იმავე სავაჭრო სახელწოდებით „დომინო“ და, შედეგად 2019 წლის პირველ კვარტალში, კომპანიამ გახსნა ორი დამატებითი მაღაზია (რომელთაგან ერთერთი, ისანში მდებარე მაღაზია დაიხურა). ახალ მაღაზიებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ პუნქტი „კომპანიის ფილიალების არსებობა“.

COVID-19-ის გავლენა. 2020 წლის 12 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19-ის პანდემიის შესახებ. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვები. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისიტანიციური მუშაობის რეჟიმზე. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, კომპანიის საქმიანობაზე არსებული მდგომარეობის გავლენა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ურთიერთობა თანამშრომლებთან:

კომპანიის მიერ დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა 2020 წლის განმავლობაში შეადგენდა 405 ადამიანს (2019 წელს: 427 ადამიანს). ხელმძღვანელობამ დანერგა ჯანსაღი პოლიტიკა და პროცედურები ადამიანური რესურსების პროცესებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ თანამშრომელს კომპანიაში შესვლისთანავე ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და მას ჩაუტარდეს შესაბამისი პრაქტიკული მომზადება, ტრენინგი და შემდგომი სწავლება. კომპანიამ ასევე შეიმუშავა ქცევის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა და რომელსაც ასრულებს ყველა თანამშრომელი. ქცევის კოდექსი ეხება ქცევით და ეთიკურ საკითხებს სამუშაო ძალის ფარგლებში.

ურთიერთობა მიმწოდებლებთან:

მისი დაარსებიდან დღემდე, კომპანიამ შეიმუშავა სანდო ურთიერთობა თავის ყველა მიმწოდებელთან, რაც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სამართლიანობა, გასაგებობა და დროული ფინანსური ანგარიშსწორების სისტემა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება. კომპანიის საოპერაციო შედეგები მისი დაარსების დღიდან და ასევე მის მიერ მოპოვებული სანდოობა საშუალებას აძლევს კომპანიას, გააფორმოს კომერციული თვალსაზრისით წარმატებული გარიგებები მის უცხოელ მიმწოდებლებთან, კერძოდ, კომპანია ახდენს საქონლის იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან - ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები, თურქეთი და აზიის სახელმწიფოები.

ურთიერთობა მომხმარებლებთან:

მისი პირველი ჰიპერმარკეტის გახსნის დღიდან, კომპანია იქცა სასურველ ბაზრად სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქტების თვალსაზრისით, სთავაზობს რა თავის მომხმარებელს განსაკუთრებულ საცალო გამოცდილებას, მუდმივად ზრდის და არეგულირებს მისი პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, ასევე უზრუნველყოფს შესაბამის მაღალი ხარისხის მომსახურებას. ამჟამად კომპანია ემსახურება მომხმარებლებს საქართველოს ყველა რეგიონიდან. ამასთან, კომპანია ინარჩუნებს მომხმარებელთა მხრიდან ლოიალობას მისი ლოიალობის საბარათო სისტემის საშუალებით, სეზონური ფასდაკლებების და მარკეტინგული კამპანიების შეთავაზების გზით, მოძრავი წესით.

ურთიერთობა პარტნიორებთან/აქციონერებთან და საგადასახადო ორგანოებთან:

კომპანიას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული ფინანსური განყოფილება, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით. ყოველივე აღნიშნული, ეფექტიან პოლიტიკასა და პროცედურებთან ერთად სადრიცხო ფუნქციის შესრულებისას, საშუალებას აძლევს კომპანიას დროულად და ხარისხიანად წარუდგინოს ანგარიში ყველა დაინტერესებულ მხარეს: ხელმძღვანელობა, სამეთვალყურეო საბჭო, კომპანიის პარტნიორები და საგადასახადო ორგანოები. ხელმძღვანელობას აქვს მისი ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება, რომელიც აუდირებულია სათანადო რეპუტაციის მქონე საერთაშორისო დამოუკიდებელი აუდიტის კომპანიების მიერ. კომპანიას არ აქვს საგადასახადო ორგანოსთან დავების ისტორია, ასევე რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმა და / ან პირგასამტეხლო.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის გათვალისწინებით (უმნიშვნელო დებიტორული ნაშთები და ნაღდი ფულით გადახდილი შემოსავლები), არ მიიჩნევა, რომ საკრედიტო რისკი მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიაზე, სწორედ ამიტომ, კომპანია არ ახდენს ინვესტიციას რთული საკრედიტო რისკების მართვის სისტემების შექმნაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.

	2020	2019
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	870	866
ფული და ფულის ექვივალენტები	1,589	657
სულ ფინანსური აქტივები	2,459	1,523

	2020	2019
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	28,283	21,918
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	8,011	8,398
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,175	2,947
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	7,383	8,410
სულ ფინანსური ვალდებულებები	46,551	41,673

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

უცხოური სავალუტო რისკი. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტებში. კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

	2020 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო
	1 აშშ დოლარი =	1 ევრო = 3.2095
	2.8677 ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	502	28
სულ ფინანსური აქტივები	502	28
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	28,982	-
საიჯარო ვალდებულებები	10,186	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	334	1,066
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,502	1,066
სულ წმინდა პოზიცია	(39,000)	(1,038)

	2019 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო
	1 აშშ დოლარი =	1 ევრო = 3.2095
	2.8677 ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	7	9
სულ ფინანსური აქტივები	7	9
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	21,918	-
საიჯარო ვალდებულებები	11,310	35
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	691	1,102
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,919	1,137
სულ წმინდა პოზიცია	(33,912)	(1,128)

**შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.**

ლოკიდობის რისკი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მის არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეთანხმებული დაფარვის ვადებით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	7,383	-	-	-	-	7,383
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	266	590	3,140	20,997	36,343	61,336
სულ	7,649	590	3,140	20,997	36,343	68,719
	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	8,410	-	-	-	-	8,410
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	374	749	3,217	40,163	663	45,166
სულ	8,784	749	3,217	40,163	663	53,576

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებაზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ აქვს დანერგილი ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის. კომპანიას გააჩნია პროცენტის სესხები, რომელთა საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია და შეთანხმებულია ხელშეკრულებით.

არა-ფინანსური რისკები. კომპანიის წინაშე არსებული არა-ფინანსური რისკები და გაურკვევლობები ასახავს ქვეყანაში არსებულ ზოგად ეკონომიკურ სიტუაციას, მშპ-ს ზრდას და ინფლაციის მაჩვენებელს, ასევე გაურკვევლობებს ხელისუფლების მიერ ახალი რეგულაციების შემუშავებასთან, მათ დამტკიცებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ხანმოკლე ვადების განსაზღვრას ბიზნესისთვის აღნიშნული ახალი რეგულაციებისთვის მოსამზადებლად.

კომპანიის ფილიალების არსებობა

ამჟამად კომპანია ამუშავებს ერთი ჰიპერმარკეტის ფორმატის მაღაზიას და ორი მარკეტის ფორმატის მაღაზიას.

2015 წლის 23 მაისს გაიხსნა პირველი ჰიპერმარკეტი 12,000 კვ.მ. საერთო ფართობით, რომელიც განთავსებულია სავაჭრო ცენტრში „ისთ ფონითი“, საქართველოში, ქ. თბილისში.

2018 წელს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კომპანიის საქმიანობის გაფართოება და ახალი ფორმატის მაღაზიების განვითარება 1,000 – 3,000 კვ.მ. ფართობით „დომინო მარკეტის“ სავაჭრო ნიშნით ოპერირებისთვის. შედეგად 2019 წელს გაიხსნა შემდეგი ახალი მაღაზიები:

2019 წლის 2 თებერვალს, კომპანიამ გახსნა მისი პირველი „დომინო მარკეტის“ ფორმატის მაღაზია. მაღაზიის სრული ფართი შეადგენს 1,478 კვ.მ.-ს და მდებარეობს ისნის რაიონში. აღნიშნული მაღაზია დაიხურა 2020 წლის სექტემბერში.

2019 წლის 16 თებერვალს, კომპანიამ გახსნა მისი მეორე „დომინო მარკეტის“ ფორმატის მაღაზია. მაღაზიის სრული ფართი შეადგენს 1,375 კვ.მ.-ს და მდებარეობს დიდი დიდმის რაიონში.

ყველა აღნიშნული მაღაზია წარმოდგენილია საოპერაციო იჯარის პირობებით.

კვლევა და განვითარება

კომპანია ასრულებს კვლევას და განვითარებას კომპანიის შიდა რესურსით. აღნიშნული მოიცავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, საბაზრო კამპანიების, პროდუქციის ნომენკლატურის წარმოების, მომსახურების მიმოხილვის, პროგნოზების, მიზანშეწონილობის კვლევების განვითარებას და დანერგვას ახალი მაღაზიების გახსნისა და სხვა საქმიანობისთვის, რაც მომზადდება კომპანიის ფარგლებში სხვადასხვა უფლებამოსილი პირების / დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობით.

2020 და 2019 წლების განმავლობაში, კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებულ გარეშე საქმიანობაში.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არსებული პრაქტიკა და შედეგები დამაკმაყოფილებელია კომპანიის ამჟამინდელი განვითარებისთვის და არ საჭიროებს დამატებით გარეშე კონსულტაციას.

რუსლან შულდიკი
მთავარი აღმასრულებელი დირექტორი
2021 წლის 6 აპრილი

გიორგი ნონიევი
მთავარი ფინანსური დირექტორი
2021 წლის 6 აპრილი

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	4

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის სამუშაო გარემო	5
3. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციის დანერგვა	5
4. ახალი სააღრიცხვო დებულებები	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
6. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	18
7. შემოსავალი	19
8. რეალიზებული პროდუქტების თვითღირებულება	19
9. სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები	20
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	20
11. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	20
12. ძირითადი საშუალებები	21
13. გამოყენების უფლების მქონე აქტივები	22
14. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	23
15. ფული და ფულის ექვივალენტები	23
16. საწესდებო კაპიტალი	24
17. ნასესხები სახსრები და საიჯარო ვალდებულებები	24
18. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	25
19. ფინანსური რისკების მართვა	25
20. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა გაზომვის კატეგორიის მიხედვით	29
21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები	29
22. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები	30
23. აღრიცხვის პერიოდის შემდგომი მოვლენები	31

სხვა ინფორმაცია - ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.

გვ. 63

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ პარტნიორს და ხელმძღვანელობას.

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტთან დაკავშირებით, სამართლიანად ასახავს შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ შევამოწმეთ

კომპანიის ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს:

- ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშგებას მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ანგარიშგებას კაპიტალში ცვლილების შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტური შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებაზე.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტური მონაცემები საკმარისი და შესატყვისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი აუდიტური დასკვნის საფუძველად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გაცემული პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (შემდგომში - IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ ასევე შევასრულეთ ჩვენ მიერ ნაკისრი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები IESBA კოდექსის თანახმად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა გაცეცნოთ ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ, არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს თუ არა არსებით უზუსტობებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ მოგვეთხოვება, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია, რომ განვაცხადოთ.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის კონკრეტული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი აუდიტორული შემოწმების პროცესში შესრულებული სამუშაოების საფუძველზე:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიში შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და იმ პირთა პასუხისმგებლობები, რომლებსაც ევალებათ ფინანსური ინფორმაციის მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადებაზე, და ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობები, განაგრძოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, წარმოადგინოს ინფორმაცია მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს აღრიცხვის მეთოდი მოქმედი საწარმოს საფუძველზე მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტურ შემოწმებაზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან მთლიანობაში, გონივრულ ფარგლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტორული შემოწმების ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს სრული აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმყდავებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორი მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტორული შემოწმების მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

შპს “ფრაის უოთერ ჰაუს კუპერს ჯორჯია“ (რეგ. # SARAS-F-775813)

ხელმოწერილია

ლაშა ჯანელიძე (რეგ. #SARAS-A-562091)

6 აპრილი, 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

ათას ლარში	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	7	55,849	59,655
რეალიზებული პროდუქტების თვითღირებულება	8	(40,128)	(44,628)
მთლიანი მოგება		15,721	15,027
სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები	9	(10,492)	(11,599)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(4,169)	(3,938)
ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე, წმინდა		(287)	(29)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		773	(539)
ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება, წმინდა	11	(8,312)	(5,850)
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		393	(897)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(7,146)	(7,286)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(7,146)	(7,286)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(7,146)	(7,286)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მმართველთა საბჭოს სახელით 2021 წლის 6 აპრილს.

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ათას ლარში	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	2,234	2,059
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	13	7,686	10,643
გრძელვადიანი გადახდილი ავანსები		329	365
არამატერიალური აქტივები		118	133
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,367	13,200
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14	11,815	12,817
სხვა მიმდინარე აქტივები		75	50
გადახდილი ავანსები		811	305
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება		870	866
ფული და ფულის ექვივალენტები	15	1,589	657
სულ მიმდინარე აქტივები		15,160	14,695
სულ აქტივები		25,527	27,895
პარტნიორის კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	16	2,658	2,658
დაგროვილი ზარალი		(25,166)	(18,020)
სულ აქციონერის კაპიტალი		(22,508)	(15,362)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
ნასესხები სახსრები	17	28,283	21,918
საიჯარო ვალდებულებები	18	8,011	8,398
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		36,294	30,316
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიღებული ავანსი		1,060	1,055
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	18	7,383	8,410
საგადასახადო დავალიანება, წმინდა		155	177
საიჯარო ვალდებულებები	13	2,175	2,947
ნასესხები სახსრები	17	699	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		269	352
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,741	12,941
სულ ვალდებულებები		48,035	43,257
სულ აქციონერის კაპიტალი და ვალდებულებები		25,527	27,895

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია მმართველთა საბჭოს სახელით 2021 წლის 6 აპრილს.

ხელმოწერილია
რუსლან შულდიკი
აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერილია
გიორგი ნონიევი
ფინანსური დირექტორი

გაიქ ნახაძე

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგ“
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში

ათას ლარში	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16	2,658	(10,734)	(8,076)
ზარალი მოცემული წლისთვის		-	(7,286)	(7,286)
სხვა სრული ზარალი მოცემული წლისთვის		-	-	-
სულ სრული ზარალი 2019 წლისთვის		-	(7,286)	(7,286)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16	2,658	(18,020)	(15,362)
ზარალი მოცემული წლისთვის		-	(7,146)	(7,146)
სხვა სრული ზარალი მოცემული წლისთვის		-	-	-
სულ სრული ზარალი 2020 წლისთვის		-	(7,146)	(7,146)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16	2,658	(25,166)	(22,508)

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ათას ლარში	შენიშვნები	2020	2019
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის შემდგომ		(7,146)	(7,286)
კორექტირებები:			
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9,10,12,13	3,035	3,168
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	11	2,024	2,280
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	11	1,174	1,357
უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების ზარალი, წმინდა	11	5,114	2,213
სხვაობა უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე		(100)	4
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის დირებულება	8	212	239
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკარგის დირებულება	8	203	180
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო კაპიტალში ცვლილებებამდე		4,516	2,155
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანების ზრდა		(4)	(426)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კლებ/(ზრდა)	14	587	(2,873)
გადახდილი ავანსის (ზრდა)/კლება		(506)	199
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა		(25)	(12)
გრძელვადიანი ავანსის კლება		36	16
მიღებული ავანსის ზრდა		5	63
დებიტორული და სხვა სახის დავალიანების (კლება)/ზრდა	18	(1,027)	4,637
წმინდა საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		(22)	(86)
სხვა მიმდინარე ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(83)	95
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული		3,477	3,768
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(376)	(886)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(10)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(376)	(896)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	17	2,246	1,078
ნასესხები სახსრებიდან დაფარვა	17	(821)	(830)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	17	(3,812)	(3,632)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,387)	(3,384)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		218	(4)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		932	(516)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	15	657	1,173
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	15	1,589	657

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“).

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისში, 2014 წლის მაისში.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელ კომპანიას წარმოადგენდა „Terminal West (DIY) Holdings Limited“ (კვიპროსი), კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენდა „Quadrum Investment Management Limited“ (კაიმანის კუნძულები), რომელიც მართავს კომპანიას ინვესტორების სასარგებლოდ და რომლის საბოლოო 100% წარმოადგენს ბ-ნი ოლეგ პავლოვის საკუთრებას.

კომპანია მდებარეობს საქართველოში, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საიდენტიფიკაციო კოდით: 406119178.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო - სარემონტო მასალების და საოჯახო სამეურნეო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ოპერირებს „დომინო“-ს სავაჭრო ნიშნის ქვეშ. 2015 წლის 23 მაისს გაიხსნა მისი პირველი ჰიპერმარკეტი, რომლის საერთო ფართი შეადგენდა 12,000 კვ.მ.-ს და რომელიც განთავსებულია საქართველოში, ქ. თბილისში სავაჭრო ცენტრ „ისთ ფოინთის“ ტერიტორიაზე. 2018 წელს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაეფართოვებინათ კომპანიის საქმიანობა და შეიმუშავა 1,000 - 3,000 კვ.მ. ფართის მაღაზიების ახალი ფორმატი, „დომინო მარკეტი“-ს სავაჭრო დასახელებით ოპერირების მიზნით. აღნიშნულის შედეგად, 2019 წლის 2 თებერვალს კომპანიამ გახსნა პირველი „დომინო მარკეტი“-ს ფორმატის მაღაზია ისნის რაიონში, 1,478 კვ.მ. საერთო ფართით, ხოლო 2019 წლის 16 თებერვალს, კომპანიამ გახსნა მეორე „დომინო მარკეტი“-ს ფორმატის მაღაზია დიდი დიდმის რაიონში 1,375 კვ.მ. საერთო ფართით. 2020 წლის 30 სექტემბერს ისნის რაიონში მდებარე მაღაზია დაიხურა იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. #2.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში - 'GEL', 'ლარი'), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. კომპანიის სამუშაო გარემო

2020 წლის მარტში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID - 19 - ის პანდემიის შესახებ. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვები. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისიტანციური მუშაობის რეჟიმზე და კარანტინის დროს გაყიდვების უმრავლესობა სრულდებოდა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, კომპანიის საქმიანობაზე არსებული მდგომარეობის გავლენა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. ახალი ან შესწორებული სტანდარტების დანერგვა და ინტერპრეტაცია

კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიების შესწორებები ფასს 16-ში (გაიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორება ითვალისწინებს შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეუძლიათ ასახონ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე; საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე და არ არის არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებში.

გ. ნ. ნ.

3. ახალი ან შესწორებული სტანდარტების დანერგვა და ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

კომპანიამ შეათანხმა სხვადასხვა საიჯარო ქირის დათმობა მოიჯარებთან ქონების იჯარასთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ აღნიშნული დათმობების ნაწილი კვალიფიცირებული იყო ფასს 16-ის შესწორებაში პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებისთვის. შედეგად, კომპანიამ შეამცირა საიჯარო ვალდებულება და აღიარა 705 ათასი ლარის მოგება იჯარის ვალდებულების აღიარების ნაწილობრივ გაუქმებასთან დაკავშირებით სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავლებში/(ხარჯებში), 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ კომპანიაზე რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:

- შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეფტუალურ საფუძვლებში (გამოიცა 2018 წლის 29 მარტს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).
- ტერმინის „ბიზნესი“ განმარტება – შესწორებები ფასს 3-ში (გამოიცა 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაში შედის შენაძენებთან დაკავშირებით იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).
- ტერმინის „არსებითი“ განმარტება – შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში (გამოიცა 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).
- საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-სა და ფასს 7-ში (გამოიცა 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).

4. ახალი საადრიცხო დებულებები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და განმარტებები, რომელიც სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის ან მოგვიანებით, რომელზედაც კომპანია აღნიშნულ თარიღამდე ადრე არ გადავიდა.

შესწორებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა ან შენატანის გაკეთება“ (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ განსაზღვრულ დღეს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ) - აღნიშნული შესწორებები ეხება ფასს 10-ს და ბასს 28-ს მოთხოვნებს შორის არსებულ შეუთავსებლობას ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენისას ან შენატანების გაკეთებისას.

ამ შესწორების ძირითად შედეგს წარმოადგენს ის, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგება ვრცელდება ბიზნესზე. ნაწილობრივი მოგების ან ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც გარიგების ფარგლებში წარმოდგენილია ოქნება ის აქტივები, რომლებიც არ ქმნის ბიზნესს, მაშინაც კი, თუ აღნიშნული აქტივები წარმოდგენილია შვილობილი კომპანიის საკუთრებაში. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17, „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოიცა 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს, რომელმაც კომპანიებს მისცა საშუალება, სისრულეში მოეყვანათ ანგარიშგება სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის გართულდა, შეედარებინათ სხვაგვარი მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობა. ფასს 17 წარმოადგენს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების აღსარიცხად, იმ სადაზღვევის ხელშეკრულებების ჩათვლით, რომელთაც ფლობს მზღვეველი. სტანდარტი საჭიროებს კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას და გაზომვას: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების (შესრულების ფულადი ნაკადების) რისკებზე დარეგულირებული მიმდინარე ღირებულება, რომელიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ იმ სახით, რაც შესაბამისად დაკვირვებად საზაზრო ინფორმაციას; პლუს (იმ შემთხვევაში, თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი), (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების კომპანიაში გაუნაწილებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიისგან იმ პერიოდზე, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევის დაფარვას, ვინაიდან ისინი თავისუფალნი არიან რისკისგან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებების კომპანია ამჟამად ან სამომავლოდ განიცდის ზარალს, სუბიექტი აღიარებს ზარალს დაუყოვნებლივ.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებებად – ბასს 1-ის ცვლილებები (გამოიცა 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს, რომ ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები, გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების

4. ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. 'დაფარვა' განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემა 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოცემა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამდიმბელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 წლებში - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემა 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს, დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო 'ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი', როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას.

აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს 'ხელშეკრულების შესრულების ღირებულების' მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამდიმბელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3 მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისი მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასიკ 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ეღიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემდგომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებები ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

4. ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის შიშველ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1-ის გამონაკლისი, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1-ის გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოიცა 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომლებიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდების გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის 'ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით' საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შედეგებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გაბრიელა

4. ახალი სააღრიცხვო დებულებები (გაგრძელება)

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა - ფაზა 2-ის შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში (გამოიცა 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- შესწორებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველებში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხონ ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველებში, IBOR რეფორმის შედეგად, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფში წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარეებს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.
- საბოლოო თარიღი ფაზა 1-ის შეღავათისთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება, როდესაც ცვლილებები
- ხორციელდება არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: შესწორებები მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოიცა 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ბასს 1-ში შეიტანეს შესწორებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება, არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული შესწორების მხარდასაჭერად ფასს პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში - 'მატერიალური გადაწყვეტილების მიღება' შეიტანეს შესწორება, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას. კომპანია ამჟამად აფასებს მოცემული შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ბასს 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოიცა 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავოს კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვა რამე არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ელიზა

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია 2019 წლის 1 იანვრიდან ფასს 16-ს ‘იჟარა’ დამტკიცების შედეგად, ეს პრინციპები საყოველთაოდ მიღებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. გარდა ყოველი ანგარიშგების პერიოდის დასასრულს გადაფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ქონებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას, კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 ან მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში, რაც აღწერილია ქვემოთ:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებულ ფასებს (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება კომპანიას შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა დაშვებები ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიებად დაყოფაში რეალური ღირებულების იერარქიის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ რეალური ღირებულების გაზომვა იყენებს დაკვირვებად კომპონენტებს, რომლებიც საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებას, ამგვარი გაზომვა წარმოადგენს მე-3 დონის გაზომვას. შეფასების კომპონენტების მნიშვნელობა ფასდება რეალური ღირებულების გაზომვის მიხედვით მთლიანობაში.

მოქმედი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში განაგრძობს საქმიანობას. აღნიშნულ ვარაუდთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვების თაობაზე დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ მე-6 შენიშვნა.

უცხოური ვალუტები. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა საქართველოს სახელმწიფო ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”, „ლარი“). იმ ვალუტებში განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც არ წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას (უცხოური ვალუტები) აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „ეროვნული ბანკი“) მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველ ანგარიშგების დღეს, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულების გადაყვანა ხდება ანგარიშგების დღეს არსებულ განაკვეთებში. გაცვლითი კურსის სხვაობით გამოწვეული მოგება და ზარალი, რომლებიც უკავშირდება ნასესხებ თანხებს, გათვალისწინებული იქნება შემოსავალ-გასავლის ანგარიშში ‘ფინანსური შემოსავალ-გასავლის’ ფარგლებში. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობით გამოწვეული ყველა სხვა მოგება და ზარალი, გათვალისწინებული იქნება შემოსავალ-გასავლის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში, ცალკე ფინანსური ანგარიშგების ხაზის სახით.

გადაყვანა წლის დასასრულისთვის დაფიქსირებულ სავალუტო გაცვლით კურსებში არ მოქმედებს იმ არა-ფულად საშუალებებზე, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც ასევე კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაცვლითი კურსები. წლის დასასრულისთვის დაფიქსირებულ საცალუტო გაცვლითი კურსები, რომლებიც გამოიყენა კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შემდეგია:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
1 აშშ დოლარი / ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო / ლარი	4.0233	3.2095

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მიღებულ შემოსავალს. შემოსავლის აღიარება ხდება გარიგების ღირებულების ოდენობით. გარიგების ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომლის მიღებასაც ელის კომპანია დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის მიმართ გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით აღებული თანხების გამოკლებით.

შემოსავლის აღიარება ხდება ფაქტობრივების, შემოსავლების და დამატებითი ღირებულების გადასახადების გამოკლებით.

საქონლის რეალიზაცია. რეალიზაციის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის კონტროლი გადადის ერთი მხარისგან მეორეზე, ანუ როცა საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს ეძლევა სრული უფლება საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებას. გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქონლის გადაზიდვა მოხდება კონკრეტულ ადგილზე, ცვეთასა და დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები გადავა მომხმარებელზე და მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების პირობები შეწყდება ან კომპანიას გააჩნია ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

კომპანია არ ჰყიდის საქონელს საბითუმო ფასდაკლებით. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე.

კომპანიის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება საავანსო გადახდის პირობებით ან ანგარიშსწორება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემის მომენტისას. იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია შეთანხმდეს გადავადებული ანგარიშსწორების პირობებიც, თუმცა გადავადება არასოდეს აღემატება თორმეტ თვეს, შესაბამისად, არავითარი დაფინანსების ელემენტი არ ჩაითვლება წარმოდგენილად და გარიგების ღირებულება არ კორექტირდება მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის შედეგებთან დაკავშირებით.

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს საქონლის გადაცემას, რადგან ეს არის მომენტი, როდესაც ანაზღაურება არის უპირობო, ვინაიდან მხოლოდ დროის გასვლა არის საჭირო ანგარიშსწორების ვადის დადგომამდე.

მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამა. კომპანია იყენებს ლოიალობის პროგრამას იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლები აგროვებენ წამახალისებელ ქულებს განხორციელებული შესყიდვებისთვის, რაც საშუალებას აძლევს მათ, ისარგებლონ ფასდაკლებით სამომავლო შესყიდვებში. წამახალისებელი ქულებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ქულების გამოსყიდვის დროს. გარიგების ღირებულება განისაზღვრება გაყიდული საქონელზე და წამახალისებელ ქულებზე მათი შედარებითი დამოუკიდებელი სარეალიზაციო ფასების საფუძველზე. წამახალისებელ ქულებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება რეალიზაციის დროს, რაც კლასიფიცირდება „მიღებული ავანსების“ სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შემდგომ ხელმძღვანელობა ანაწილებს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს ორ კლასად: საცალო და კორპორატიული გაყიდვების შემოსავლებად. საცალო შემოსავალი მოიცავს საცალო კლიენტების მიმართ რეალიზაციას (ძირითადად წარმოდგენილი ფიზიკური პირების მიერ) როგორც ჰიპერმარკეტში განთავსებული საღებოს მფლობელით, ასევე ვებ-გვერდის მეშვეობით ('ელ-ვაჭრობა'). კორპორატიული გაყიდვები სრულდება იურიდიული პირების მიმართ. ორივე შემოსავლის აღიარება ხდება იმავე მომენტში.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებები ითვალისწინებს რამდენიმე მოქმედების შესრულების ვალდებულებას, გარიგების ღირებულება გადანაწილდება ყოველი განცალკევებული მოქმედების შესრულების ვალდებულებაზე დამოუკიდებელი სარეალიზაციო ფასების საფუძველზე.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია არ მოელის რაიმე ხელშეკრულების ფლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის მიმართ დაპირებული საქონლის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ ანგარიშსწორების განხორციელებას შორის პერიოდი აღემატება ერთ წელს. შედეგად, კომპანია არ აკორექტირებს რომელიმე გარიგების ღირებულებას ფულის დროითი ღირებულების მიხედვით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განხორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით.

ელ. ნიშ

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ანუ წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელზე, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან არ იბეგრება.

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც დაგროვებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, იბეგრება მოგების გადასახადით გაანგარიშებული მთლიან მაჩვენებელზე, რომელიც შემცირებულია საგადასახადო შეღავათით, რაც გამოთვლილია, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა – საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებული რეალური მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაბეგრვას.

ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო შეღავათის გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება შემოსავალ-გასავლის ანგარიშში ან სხვა სრულ შემოსავალში, კუნქტში - 'სხვა არა-საოპერაციო ხარჯები, წმინდა'.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები მოგების გარდა სხვა პოზიციებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი ექვემდებარება ანგარიშსწორებას საგადასახადო ორგანოების მიმართ იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება, ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ს გადახდას ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების კომპონენტების შეძენასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ-ს გადავადება ხდება 5-10 წლის ვადით იმ სუბიექტების შემთხვევაში, რომლებსაც გააჩნიათ 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება №407, რომლის მიხედვითაც ყველა გადასახადთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები, მათ შორის კორპორატიული მოგების გადასახადი, და გადასახადის გადამხდელთა მიერ ყველა გადასახადის გადახდები ჩაითვლება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშში. აღნიშნულის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნება ნეტო-საფუძველზე. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შედეგად მიღებული ნაშთები წარმოდგენილი იქნება 'საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა' სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, საჭიროების შემთხვევაში.

შემდგომი ღირებულებები გათვალისწინებულია აქტივების საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი იქნება, რომ დეტალთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადავა კომპანიაზე და დეტალის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელი იქნება საიმედოდ. უმნიშვნელო სარემონტო და დღიური ტექნიკური მომსახურების ღირებულება აღიარდება ხარჯად მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი დეტალების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი დეტალი ჩამოიწერება.

გაყიდვიდან მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებით მიღებული შემოსავლების შედარებით და აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, 'სხვა არა-საოპერაციო წმინდა ხარჯის' ფარგლებში.

გო. 6.23

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანს. ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს აღდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უმადლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მოცემული წლისთვის. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლება საპირისპირო ნიშნით, თუ ადგილი აქვს აქტივის გამოყენებით ღირებულებას ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების ცვლილებას.

მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში მათი თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მოხმარების ვადის დასასრულისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდის ვადები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ნებისმიერი სახის ცვლილების განხორციელებით იმ შეფასებაში, რომელიც გათვლილი იქნება სავარაუდო საფუძველზე.

ცვეთა არ მოქმედებს მანამ, სანამ აქტივები ითვლება მიმდინარე მშენებლობად.

კომპანიის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მოხმარების ვადა წლებში
მანქანა-დანადგარები	1-10
ავიჯი და საოფისე მოწყობილობები	1-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სასარგებლო მოხმარების ვადაზე და იჯარის ვადაზე ნაკლები

გამოყენების უფლების მქონე აქტივები. კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა მოწყობილობასა და შენობას მაღაზიებისა და საწყობებისთვის. ხელშეკრულებები შესაძლოა შეიცავდეს როგორც საიჯარო, ასევე არა-საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ითვალისწინებს ანაზღაურებას ხელშეკრულებაში საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების მიმართ მათი შედარებითი დამოუკიდებელი ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები თავდაპირველად ანგარიშდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები ანგარიშდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი გაანგარიშების თანხა;
- დაწყების დღეს ან ამ დღემდე გადახდილი იჯარის თანხა, გამოკლებული რაიმე საიჯარო შეღავათი;
- რაიმე თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივების აღდგენის ხარჯები იმ მდგომარეობამდე, რაც მოთხოვნილია იჯარის ხელშეკრულებებით.

გამოყენების უფლების მქონე აქტივები, როგორც წესი, გაუფასურდება უფრო ხანმოკლე აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადასა და იჯარის ვადაზე პროპორციული ჩამოწერის მეთოდით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს შესყიდვის ოფციას, გამოყენების უფლების მქონე აქტივი გაუფასურდება შესაბამისი აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადაზე. გამოყენების უფლების მქონე აქტივის დეტალების გაუფასურება გაანგარიშდება პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით მათი შეფასებული სასარგებლო მოხმარების ვადაზე შემდეგი სახით:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მოხმარების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	სასარგებლო მოხმარების ვადაზე და იჯარის ვადაზე ნაკლები
მანქანა-დანადგარები	4-7
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სასარგებლო მოხმარების ვადაზე და იჯარის ვადაზე ნაკლები

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ არიან მზად გამოყენებისთვის, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და მოწმდება გაუფასურებაზე ყოველწლიურად. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ჩანაცვლების ღირებულებას. ჩანაცვლების ღირებულება აღემატება აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელზეც ისინი წარმოქმნიან დამოუკიდებელ ფულად ნაკადებს (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები (გარდა გუდვილისა) გადაიხედება შესაძლო შემზრუნებაზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის.

5. მნიშვნელოვანი საღირებულო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მითითებულია არსებული ხარჯებიდან ყველაზე მცირე ხარჯისა და შესაძლო რეალიზაციის რეალური ღირებულების არჩევის წესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს და აღსაზღვრებად გადასახადებს და სატრანსპორტო, დამუშავების და საქონლის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვის ღირებულების განსაზღვრისას გამოკლებულია სავაჭრო ფასდაკლებები, ფასდაკლებები და სხვა მსგავსი დეტალები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება „ფაიფოს“ ანუ „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ მეთოდის საფუძველზე. წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების ყველა სავარაუდო ღირებულება და რეალიზაციის სისრულეში მოსაყვანად საჭირო ხარჯები.

საკონსიგნაციო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა აფასებს კონსიგნაციის პირობების არსებობას ადგილობრივ მომწოდებლებთან გაფორმებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნასყიდობის ხელშეკრულებებში, მიმწოდებლებთან გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომელთა მიხედვითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები არ განხორციელდება მანამ, სანამ შესყიდული საქონელი არ გაიყიდება საბოლოო მომხმარებელზე და რომლებიც შესაძლებელია დაბრუნდეს გამოსყიდვის მოთხოვნის გარეშე, ჩათვლება საკონსიგნაციო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებად. იხილეთ შენიშვნა 14.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. წინასწარი ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარი ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება სავარაუდოდ შეძენილი იქნება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი ანგარიშსწორება უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად არის კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივზე კონტროლის უფლებას და როდესაც სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა სახის წინასწარი ანგარიშსწორება ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულია. თუ არსებობს მინიშნება, რომ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი ანგარიშსწორების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნეს ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგებისას შეფასების თარიღზე. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, რომლის პირობებშიც აქტივთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფასწარმოქმნის შესახებ ინფორმაცია რეგულარულ საფუძველზე.

აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში გაშვებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, როგორც კოტირებული ფასის პროდუქტი ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის და სუბიექტის მიერ ფლობილი რიგი ინსტრუმენტებისთვის. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ჩვეულებრივი საბაზრო ყოველდღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი არსებული რაოდენობის ასათვისებლად და ერთჯერადი გარიგებით პოზიციების გაყიდვასთან დაკავშირებული შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან დამოუკიდებელ მხარეებს შორის ბოლოდროინდელ გარიგებებზე დაფუძნებული მეთოდები ან ინვესტიციის მიმდების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება, გამოიყენება იმ უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მათი დონის მიხედვით: (i) პირველი დონის შეფასებები შეფასებები აქტიურ ბაზარებზე კოტირებულ (არაკოტირებულ) ფასებად იდენტიფიცირებული აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები შეფასების მეთოდები, რომლებშიც აღინიშნება ყველა მატერიალური დანახარჯი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირი (როგორც არის ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებიდან გამოყვანილი), და (iii) მესამე დონის შეფასებები შეფასებები, რომლებიც არ ემყარება მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან ხელმოწევაზე მფლობელ საბაზრო მონაცემებს).

გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯებია ის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება გაწეული იქნეს, თუ არ ხორციელდება გარიგება. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოსა და ანაზღაურებას, მარეგულირებელი სააგენტოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გადარიცხვის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა თავდაპირველად აღიარებული, ძირითადი თანხის ნებისმიერი დაფარვის გამოკლებით, მაგრამ დაგროვებული პროცენტების დამატებით, ხოლო ფინანსური აქტივებთან მიმართებაში – გაუფასურებით გამოწვეული ზარალზე ნებისმიერი ჩამოწერილი თანხების გამოკლებით. დაგროვებული პროცენტები მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების და ნებისმიერი პრემიის თუ დისკონტის ამორტიზებას ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვებული პროცენტებით მიღებული შემოსავალი და ხარჯი დაგროვებული კუპონების შემოსავლისა და ამორტიზირებული დისკონტისა ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული მოსაკრებლების ჩათვლით, მათი არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებლად და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პუნქტების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

გთ. 6.1.3

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების შესაბამისი პერიოდზე იმგვარად გადანაწილების მეთოდი, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის საშუალებითაც ზუსტად ხორციელდება სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორებების ან შემოსავლების დისკონტირება (სამომავლო საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო მოქმედების ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამის შემთხვევებში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის ხელახალი შეფასების მომდევნო თარიღისთვის, პრემიისა და იმ ვასდაკლების გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო „გავრცელებას“ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთთან მიმართებაში, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ დგინდება საბაზრო განაკვეთებთან დაკავშირებით.

ამგვარი პრემიების ან დისკონტების ამორტიზება ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა სახის გადახდით თუ მიღებულ ანაზღაურებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენს შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებულ აქტივს („POCI“) საწყისი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტი განაკვეთი მოერგება საკრედიტო რისკს, ანუ ის დაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით საწყისი აღიარებისას, ნაცვლად სახელშეკრულებო გადახდებისა.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რაც მორგებულია გარიგებების ფასზე. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას სათანადოდ არის დასაბუთებული გარიგების ფასით. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტთან დაკავშირებული სხვა მიმდინარე საბაზრო გარიგებების საშუალებით, ან შეფასების ისეთი მეთოდებით, რომლებიც მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებების შედეგად მიღებულ მონაცემებს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ECL შეფასების აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით გაზომილ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევს უშუალო სააღრიცხვო ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ (FVTPL), „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI) და „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ (AC). სავალი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების შექმნის მიზნით - თუ რა არის კომპანიის მიზანი: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვით წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“); ან თუ ზემოაღნიშნული არც (i) და არც (ii) პუნქტი მოქმედებს, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილი და ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ყველა იმ სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მეთოდებით მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების დღეს არსებული პორტფელის გარკვეული მიზნის მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას განხილული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, ასევე წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება და როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორც ფასდება აქტივების შესრულება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ისეთი ბიზნეს-მოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან რომლის მიზანია მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე გაყიდვით, კომპანია განსაზღვრავს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას („SPPI“).

თუ სახელშეკრულებო პირობები იწვევს ფულადი ნაკადების დაქვემდებარებას ისეთ რისკებზე ან ცვალებადობაზე, რაც არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVTPL“). მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების („SPPI“) გადახდის შეფასება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას ხდება და არ ექვემდებარება შემდგომში ხელმოწერულ შეფასებას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. სუბიექტს არ შეუცვლია მისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში და არ მოუხდენია რაიმე რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. კომპანია აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალი ინსტრუმენტების მიმართ და სესხის გაცემის ვალდებულებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი რისკების მიმართ, სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ფინანსურ და სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით ყოველ საანგარიშგებო თარიღზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის

გა-ნიშნა

5. მნიშვნელოვანი საღირებუ პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; (ii) ფულის დროით ღირებულებას; და (iii) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიმართ, რაც იყენებს სამუდამო მოსალოდნელი ზარალის დასაშვებ ნორმას ყველა დებიტორული დავალიანებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება საზიარო საკრედიტო რისკების მახასიათებლების საფუძველზე (დებიტორული დავალიანებები შესაძლებელია დაჯგუფდეს ზოგადი გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, სამომხმარებლო რეიტინგის, უზრუნველყოფილი ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან (ბ) კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს, ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც ასხვისებს და არც ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს.

კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის დაუკავშირებელ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - განგარიშების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულზე, სარეალიზაციოდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად, მოკლე პერიოდები ფასიან ქაღალდებში), შემძენის მიერ აღიარებულ პირობით თანხაზე ბიზნეს კომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც ამოწურვით არ სრულდება, აღირიცხება როგორც პროგნოზის ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებებში განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

ფინანსური ინსტრუმენტები - ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წარმოდგენილი წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ სამართლებრივი უფლება და განზრახვა, დაარეგულირონ დავალიანება ურთიერთგაქვითვის გზით, ან მოახდინონ აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად. ამგვარი ურთიერთგაქვითვის უფლება (ა) არ უნდა იყოს მოსალოდნელი სამომავლო შემთხვევებში; და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად განხორციელებადი ყველა შემდეგ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, (ii) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში; და (iii) გადახდის უუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაღდ ფულს და სხვა, მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება: (i) ტესტის გამო გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი გათვალისწინებულია სახელშეკრულებო პირობებში ისე, რომ აღნიშნული მახასიათებელი იმოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს მათ ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და ამგვარი ფულადი ნაკადები წარმოადგენს ძირ თანხასა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას; და (ii) რადგან ისინი არ არის მოგებაში ან ზარალში ასახვის საფუძველზე რეალური ღირებულებით შეფასებისთვის განკუთვნილი. მხოლოდ კანონმდებლობით, მაგალითად, გარკვეულ ქვეყნებში მოქმედი სავალო ვალდებულებების იმულებითი რესტრუქტურისთვის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი თავისებურებები გავლენას არ მოახდენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდაზე, თუ კანონმდებლობა შემდგომში შეიცვლება. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება იკრძალება ანგარიშგების პერიოდის დასრულებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, გათვალისწინებულია სხვა გრძელვადიან აქტივებში.

დებიტორული და სხვა დავალიანებები. დებიტორული და სხვა დავალიანებების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

კრედიტორული და სხვა დავალიანებები. კრედიტორული დავალიანებები ირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და მათი აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების ხარჯის გარეშე, და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან გამომდინარე ვალდებულებები თავდაპირველად ანგარიშდება მიმდინარე ღირებულებით. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითი ფიქსირებული გადახდები), გამოკლებული ნებისმიერი მისაღები საიჯარო შეღავათები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ინდექსს ან განაკვეთს ეფუძნება და გაანგარიშდება თავდაპირველად ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით დაწყების დღეს;
- ის თანხები, რომლებიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში;
- შესყიდვის ოფციის ფასი, თუ კომპანია გონივრულად დარწმუნებულია რომ ამ ოფციას გამოიყენებს, და
- იჯარის შეწყვეტისთვის დაწესებული ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის პირობები ითვალისწინებს კომპანიის მიერ ამ ოფციის გამოყენებას.

ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციები გათვალისწინებულია ქონებისა და მოწყობილობების რიგ იჯარებში კომპანიაში. აღნიშნული ტერმინები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის გასაზრდელად კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების პირობებში. ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციების უმრავლესობას ასრულებს მხოლოდ კომპანია და არა შესაბამისი მეიჯარე. ვადის გაგრძელების ოფციები (ან შეწყვეტის ოფციის შემდგომი პერიოდები) საიჯარო პირობებში შედის იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული დარწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). ვალდებულების გაანგარიშებაში ასევე გათვალისწინებულია ის საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გარკვეული ვადის გაგრძელების ოფციის ფარგლებში.

საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს განაკვეთი ვერ დადგინდება, რაც, როგორც წესი, წარმოადგენს იჯარებთან დაკავშირებულ პირობას კომპანიაში, გამოიყენება კომპანიის დამატებითი სასესხო განაკვეთი, ანუ ის განაკვეთი, რომელსაც კომპანია გადაიხდის გამოყენების უფლების მქონე აქტივის მსგავსი ღირებულების მქონე აქტივის შესაძენად თანხის სესხების შემთხვევაში, მსგავს ეკონომიკურ გარემოში, მსგავსი პირობებითა და უზრუნველყოფით.

დამატებითი სასესხო განაკვეთის განსაზღვრის მიზნით, კომპანია:

- შესაძლებლობის შემთხვევაში, იყენებს უახლეს მესამე მხარის დაფინანსებას, მიღებულს ინდივიდუალური მოიჯარისგან საწყისი პუნქტის სახით, დაკორექტირებულს დაფინანსების პირობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება მესამე მხარის დაფინანსება;
- იყენებს დარიცხვის კუმულაციურ მეთოდს, რომელიც იწყებს რისკისგან თავისუფალ საპროცენტო განაკვეთს, მორგებულს საკრედიტო რისკზე, და
- ასრულებს იჯარისთვის დამახასიათებელ კორექტირებას, მაგალითად, ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

კომპანია ექვემდებარება ცვლადი საიჯარო გადახდების პოტენციურ სამომავლო ზრდას ინდექსის ან განაკვეთის საფუძველზე, რაც არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულებაში, სანამ მათ არ ექნება ადგილი. როდესაც ადგილი ექნება ინდექსზე ან იჯარაზე დაფუძნებულ საიჯარო გადახდებში კორექტირებას, საიჯარო ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტირდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის მიმართ.

საიჯარო გადახდები გადანაწილდება ძირ და საფინანსო ხარჯს შორის. საფინანსო ხარჯი ირიცხება მოგებაზე ან ზარალზე იჯარის ვადის განმავლობაში იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი იჯარის დარჩენილ საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით თითოეული პერიოდისთვის.

სახელმწიფოებო ვადის განმავლობაში იჯარის ხარჯის ოპტიმიზების მიზნით, კომპანია გარკვეულ შემთხვევებში უზრუნველყოფს ნარჩენი ღირებულების გარანტიებს მოწყობილობების იჯარასთან დაკავშირებით. კომპანია თავდაპირველად აფასებს და აღიარებს იმ თანხებს, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში საიჯარო ვალდებულების ნაწილის სახით. როგორც წესი, საიჯარო ვადის დაწყებისას მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება თანაბარია ან აღემატება გარანტირებულ ოდენობას, და შესაბამისად კომპანია არ მოელის რაიმეს გადახდას გარანტიის ფარგლებში. ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულს, მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულებები განიხილება და დაკორექტირდება შესაბამისად იმისათვის, რომ ასახოს რეალური ნარჩენი ღირებულებები, მიღწეული შედარებითი აქტივებისა და სამომავლო ფასების შესახებ მოლოდინების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებებში (მაგალითად, ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

თანამშრომლების ანაზღაურება. ხელფასები, სარგო, ანაზღაურებადი წლიური შევსება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (როგორიცაა ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ბაღები) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ გაწევს ხარჯებს საპენსიო ან სხვა ანაზღაურებას შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ თავისი თანამშრომლებისთვის.

გო. ნიზ

6. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დასკვნები მუდმივად კონტროლდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ დასკვნების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე აკეთებს სხვა დასკვნებს. დასკვნები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მოქმედი საწარმო. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის წარმოების პროცესში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და ასევე გააანალიზა კომპანიის საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა.

კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მიზანშეწონილია, ვინაიდან:

- კომპანიის უარყოფითი წმინდა ვალდებულებების პოზიცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 22,508 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 15,362 ათას ლარს), რაც ძირითადად გამოწვეულია ნასესხები სახსრებით უშუალოდ მშობელი კომპანიისგან, რაც შეადგენდა 28,982 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 21,918 ლარს). სესხი ძირითადად გამოყენებულ იქნა კომპანიის საქმიანობის საწყისი ეტაპის დასაფინანსებლად და თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ნასესხები იქნა 2015 წლის ბოლოსთვის, როდესაც გაიხსნა კომპანიის პირველი ჰიპერმარკეტი.
- კრედიტის მთლიანი თანხა შეადგენდა 10,000 ათას აშშ დოლარს, რაც გამოყოფილია კომპანიის მიმართ 2025 წლის 31 დეკემბრისთვის. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული აქვს სესხის მხოლოდ ნახევარი. სესხი დარიცხულ პროცენტთან ერთად გადახდილ უნდა იქნას 2035 წლის 31 დეკემბერს.
- ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საოპერაციო საქმიანობიდან დადებითი ფულადი ნაკადების შემოდენა, სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე, შენარჩუნდება, ვინაიდან სამომავლო პერიოდისთვის არ არის პროგნოზირებული მნიშვნელოვანი საოპერაციო ფულადი ხარჯი.
- კომპანიის დაგროვილი ზარალი ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო ხარჯით ზემოაღნიშნულ ნასესხებ სახსრებზე და შესაბამისი უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალით.
- მშობელმა კომპანიამ წარმოადგინა მხარდაჭერის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ „Terminal West (DIY) Holdings Limited“ პასუხს აგებს და განაგრძობს კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას, რათა განაგრძოს თავისი საქმიანობა, წერილში მითითებული თარიღიდან (2021 წლის 22 მარტი) მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

თუ კომპანია აღარ იქნება მოქმედი საწარმო, აუცილებელი გახდება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება და გაიზრდება სესხი დამატებითი ვალდებულებებისთვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას.

დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება ეფუძნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების შესაბამისად. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, საცარაუდო ტექნიკურ ცვლას, ფიზიკურ ცვლას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც აქტივის გამოყენება ხდება. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილება იწვევს მომავალი ცვლათა ნორმების კორექტირებას.

იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო გამოყენების ვადები განსხვავდება ხელმძღვანელობის შეფასებისგან 10%-ით, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ცვეთაზე გავლენა გაზრდის მას 79 ათასი ლარით ან შემცირებს მას 79 ათასი ლარით (2019 წ.: გაზრდა 89 ათასი ლარით ან შემცირება 89 ათასი ლარით).

გოი ნიზ

6. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები (გაგრძელება)

გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვეთა. საიჯარო ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც წარმოშობს ეკონომიკურ სტიმულს იმისათვის, რომ არჩევანი შეჩერდეს ვადის გახანგრძლივების ვარიანტზე ან იჯარის შეუწყვეტლობის ვარიანტზე. ვადის გახანგრძლივების ვარიანტი (ან შეწყვეტის ვარიანტების შემდგომი პერიოდები) გათვალისწინებულია მხოლოდ საიჯარო ვადაში იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარის ვადა გაგრძელდება (ან არ იქნება შეწყვეტილი).

უძრავი ქონების იჯარის შემთხვევაში, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი ფაქტორები:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები იჯარის შეწყვეტისთვის (ან ვადის გაუგრძელებლობისთვის), კომპანია, როგორც წესი, იქნება გონივრულად დარწმუნებული, რომ განაგრძოს (ან არ შეწყვიტოს) იჯარა;
- იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ იჯარით აღებული ქონების ნებისმიერ მოპირკეთებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, კომპანია, როგორც წესი, იქნება გონივრულად დარწმუნებული, რომ განაგრძოს (ან არ შეწყვიტოს) იჯარა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია განიხილავს სხვა ფაქტორებსაც, იჯარის ისტორიული ხანგრძლივობის, ხარჯის და საქმიანობის შეწყვეტის ჩათვლით, რაც აუცილებელი იქნება იჯარით აღებული აქტივის ჩასანაცვლებლად.

7. შემოსავალი

კატეგორიების მიხედვით მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების განფასება შემდეგია:

ათას ლარში	2020	2019
მოცემულ დროში აღიარებული საქონლის რეალიზაცია		
საცალო რეალიზაცია	49,237	52,937
კორპორატიული რეალიზაცია	7,477	7,716
სულ რეალიზაცია	56,714	60,653
გამოკლებული: რეალიზაციის დაბრუნებები	(865)	(998)
სულ შემოსავალი	55,849	59,655

8. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

ათას ლარში	2020	2019
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება	39,936	44,388
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ღირებულება	212	239
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკარგის ღირებულება	203	180
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	40,351	44,807
გამოკლებული: ფასდაკლება შესყიდვებზე	(223)	(179)
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	40,128	44,628

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

ათას ლარში	2020	2019
სახელოფასო ხარჯი	4,232	4,882
ცვეთის ხარჯი (შენიშვნა 12, 13)	2,941	3,060
იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი (შენიშვნა 21)	764	853
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	668	404
რეკლამის ხარჯი	541	727
საბანკო მოსაკრებლები	466	481
კომუნალური მომსახურების ხარჯი	419	488
საიჯარო ხარჯი (შენიშვნა 21)	206	365
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	169	229
მიწოდების სხვა ხარჯი	86	110
სულ რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	10,492	11,599

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ათას ლარში	2020	2019
სახელოფასო ხარჯი	2,968	2,856
ოფისის იჯარა	158	140
დაზღვევის ხარჯი	152	134
საკონსულტაციო ხარჯი	115	130
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 12)	94	108
ტრანსპორტირების ხარჯი	69	47
მივლინებების ხარჯი	57	118
კომუნიკაციის ხარჯი	49	45
სხვა	507	360
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	4,169	3,938

11. ფინანსური ოპერაციების ხარჯი, წმინდა

ათას ლარში	2020	2019
უცხოურ ვალუტაში გაცვლით მიღებული ზარალი, წმინდა	5,114	2,213
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	2,024	2,280
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	1,174	1,357
სულ ფინანსური ოპერაციების ხარჯი	8,312	5,850

ეთ. ნიკი

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

12. ძირითადი საშუალებები

ათას ლარში	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მიმდინარე მშენებლობა (CIP)	სულ
ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,260	263	368	678	896	4,465
დამატებები	773	13	210	75	86	1,157
განკარგვა	(16)	-	-	-	-	(16)
გადაცემა	618	11	-	262	(891)	-
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	(640)	-	(184)	(104)	(13)	(941)
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,995	287	394	911	78	4,665
დამატებები	224	5	15	64	68	376
განკარგვა	(45)	(10)	-	(193)	-	(248)
გადაცემა	48	-	-	-	(48)	-
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	564	-	184	104	12	(864)
ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,786	282	593	886	110	5,657
დაფარვითი ცვეთა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,197	169	163	296	-	1,825
ხარჯი წლისთვის	615	52	69	165	-	901
განკარგვისას	(11)	-	-	-	-	(11)
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	(79)	-	(19)	(11)	-	(109)
დაფარვითი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,722	221	213	450	-	2,606
ხარჯი წლისთვის	537	30	78	149	-	794
განკარგვისას	(18)	(10)	-	(52)	-	(80)
გადაცემა გამოყენების უფლების მქონე აქტივებზე	71	-	20	12	-	103
დაფარვითი ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,312	241	311	559	-	3,423
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,273	66	181	461	78	2,059
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,474	41	282	327	110	2,234

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელიც სრულად იქნა გაცემითი და ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგენდა დაახლოებით 741 ათასს და 97 ათასს, შესაბამისად.

13. გამოყენების უფლების მქონე აქტივები

კომპანია იჯარით ღებულობს სხვადასხვა მოწყობილობასა და შენობას მაღაზიებისა და საწყობებისთვის. იჯარის ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება 2-დან 10 წლამდე ფიქსირებული პერიოდით, თუმცა შესაძლოა ჰქონდეს ვადის გახანგრძლივების ოფცია, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

2018 წლის 31 დეკემბრამდე, ქონებისა და მოწყობილობების იჯარა კლასიფიცირებული იყო ფინანსურ იჯარად ან საოპერაციო იჯარად. 2019 წლის 1 იანვრიდან, იჯარების აღიარება მოხდა გამოყენების უფლების მქონე აქტივებად და შესაბამის ვალდებულებად იმ თარიღიდან, როდესაც იჯარით აღებული აქტივი გახდება ხელმისაწვდომი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის.

ათას ლარში	შენობა-ნაგებობები	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	12,057	556	12,613
დამატებები	-	385	385
ცვეთის ხარჯი	(2,246)	(109)	(2,355)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	9,811	832	10,643
დამატებები	116	-	116
განკარგვა	(311)	-	(311)
ხელახალი შეფასების ეფექტი	203	-	203
გადაცემა ძირითად საშუალებებზე	-	(761)	(761)
ამორტიზაციის საფასური	(2,193)	(11)	(2,204)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	7,626	60	7,686

კომპანიამ აღიარა საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირად:

ათას ლარში	2020 წ.	2019 წ.
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,175	2,947
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	8,011	8,398
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	10,186	11,345

2020 წლის ფინანსურ ხარჯში გათვალისწინებული საპროცენტო ხარჯი იყო 1,152 ათასი ლარი (2019 წ.: 1,357 ათასი ლარი).

გარკვეული ქონების იჯარები ითვალისწინებს ცვალებადი გადახდის პირობებს, რაც დაკავშირებულია რეალიზაციასთან. ცვალებადი გადახდის პირობები გამოიყენება სხვადასხვა მიზეზის გამო, ფიქსირებული ხარჯის გამოთვლის საფუძლის მინიმუმამდე დაყვანის ჩათვლით. ცვალებადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია რეალიზაციაზე, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ადგილი აქვს ამ გადახდების გამომწვევ პირობას. გაყიდვების 10%-იანი ზრდა კომპანიის ფარგლებში არსებული ყველა ქონების მასშტაბით ამგვარი ცვალებადი იჯარის ხელშეკრულებებთან ერთად, გაზრდის სრულ საიჯარო გადახდებს დაახლოებით 21 ათასი ლარით.

2020 წელს იჯარებთან დაკავშირებით ფულის ჯამური გადინება შეადგენდა 3,812 ათას ლარს (2019 წ.: 3,632 ათასი ლარი).

ცვალებადი იჯარის გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არაა გათვალისწინებული 2020 წლის რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯში შეყვანილ საიჯარო ვალდებულებებში, შეადგენდა 206 ათას ლარს (2019 წ.: 365 ათასი ლარი).

გ. ს. ნიშ

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

14. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ათას ლარში

	2020	2019
სანიტარული ტექნიკა	2,300	2,498
ინსტრუმენტები	1,938	1,955
ფილები	1,847	1,654
ბალის მცენარეები	1,449	1,699
იატაკი	1,410	1,175
კარი, სადურგლო ნაკეთობები	924	1,064
სამშენებლო მასალები	654	729
ელექტროგანათება	498	440
შპალერი / ტექსტილის დეკორაცია	298	478
საყოფაცხოვრებო საქონელი	198	239
საქონელი გზაში	181	399
ავეჯი	40	75
სხვა ინვენტარი	87	412
სულ სასაქონლო-მატერიალური ინვენტარი 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,815	12,817

ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან ერთად, კომპანიას ასევე გააჩნდა 5,428 ათასი ლარისა და 6,116 ათასი ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, რაც წარმოდგენილი იყო კონსიგნაციის პირობებში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება, აღიარებული ხარჯის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც წარმოდგენილი იყო რეალიზებული პროდუქტების ღირებულება, შეადგენდა 39,936 ათას ლარს (2019 წ.: 44,388 ათასი ლარი).

11,728 ათასი ლარის (2019 წ.: 12,405 ათასი ლარი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია წმინდა რეალიზებადი ღირებულებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

15. ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში

	2020	2019
ნაღდი ფული ბანკებში	1,298	444
ნაღდი ფული გადაცემისას	247	173
ნაღდი ფული ხელზე	44	40
სულ ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,589	657

ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შეიძლება შეჯამდეს შემდეგი სახით ფიტჩის რეიტინგის მიხედვით 31 დეკემბრის:

ათას ლარში	2020	2019
არც ვადაგადაცემული და არც დარღვეული - BB- შეფასებული	1,298	444
სულ ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,298	444

საკრედიტო ზარალის მოდელის (ECL) რეზერვი არ იქნა გამოყენებული ფულის და ფულის ექვივალენტების, აგრეთვე დებიტორული დავალიანების მიმართ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანების ნაშთები უმნიშვნელოა, ცალკე განმარტებითი შენიშვნები დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით არ მომზადებულა.

ი. თ. ნიჭ

შპს „ტერმინალ ვესტ თრედიინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

16. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 2014 წლის 15 მაისს შედგენილი წესდების მიხედვით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100 ლარით. მოგვიანებით, 2014 წლის სექტემბერში, კომპანიის ერთპიროვნულმა პარტნიორმა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის 150 ათასი ლარით და 2016 წლის იანვარში - 1,000 ათასი ლარით გაზრდის თაობაზე ნასესხები სახსრების კომპანიის კაპიტალად გარდაქმნის გზით.

17. ნასესხები სახსრები და საიჯარო ვალდებულებები

ათას ლარში	ვალუტა	საპროცენტო დაფარვის ვადა განაკვეთი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:				
სესხი „Terminal West (DIY) Holdings“- მშობელი კომპანიისგან	აშშ დოლარი	8%	31/12/2020 35	841
არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი ნასესხები სახსრები:				
სესხი „Terminal West (DIY) Holdings“- მშობელი კომპანიისგან	აშშ დოლარი	8%	31/12/2020 35	28,141
სულ ნასესხები სახსრები			28,982	21,918

2014 წლის 1 სექტემბერს კომპანიამ აიღო 10,000 ათას აშშ დოლარამდე ოდენობის სესხი მშობელი კომპანიისგან ხელშეკრულებით გაწერილი დაფარვის ვადით 2022 წლის 31 დეკემბრამდე და შეთანხმებული წლიური საპროცენტო განაკვეთით 11%-ის ოდენობით. ხელშეკრულების მიხედვით, ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო დაფარვის ვადის დადგომისას. 2020 წლის 18 დეკემბერს მხარეები შეთანხმდნენ სესხის ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებაზე, შეცვალეს ფულადი ნაკადები, გაახანგრძლივეს სესხის დაფარვის ვადა 2035 წლის 1 დეკემბრამდე და შეამცირეს საპროცენტო განაკვეთი (მარტივი) 8%-მდე, აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს. კომპანიამ განიხილა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორები იმ ფაქტის დადგენის მიზნით, ჰქონდა თუ არა არსებითი მნიშვნელობა სესხის ცვლილებას. გამომდინარე იქიდან, რომ ვალდებულება დასრულდა მისი დაფარვის ვადის დადგომისას გადასინჯვის თარიღის მდგომარეობით და გაახანგრძლივდა მნიშვნელოვანი დამატებითი ვადით, რამაც გამოიწვია გადასინჯული განაკვეთის მიახლოება მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან ახალი პირობებით (ახალი დაფარვის ვადის ჩათვლით), სესხის ცვლილება შეფასდა არსებითად და გამოიწვია თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების გაზრდილობა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებების ფარგლებში მინიმალური იჯარის გადახდები და მათი მიმდინარე ღირებულება შემდეგია:

მინიმალური იჯარის გადახდები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,155	9,429	-	12,584
გამოკლებული სამომავლო ფინანსური ხარჯი	(980)	(1,418)	-	(2,398)
მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,175	8,011	-	10,186
მინიმალური იჯარის გადახდები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,340	9,723	662	14,725
გამოკლებული სამომავლო ფინანსური ხარჯი	(1,393)	(1,975)	(12)	(3,380)
მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,947	7,748	650	11,345

ელი ნიჭ

17. ნასესხები სახსრები და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

იჯარით აღებული აქტივები მე-13 შენიშვნაში მითითებული საბალანსო ღირებულებით ეფექტურად არის დაგირავებული ფინანსური იჯარის ვალდებულებებთან დაკავშირებით, რა შემთხვევაში საიჯარო აქტივებზე უფლებები გადავა მეიჯარეზე ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა შეთანხმება

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე დეტალურად არის ნაჩვენები ფინანსური საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებებში განხორციელებული ცვლილებები, ფულადი და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ფულადი ნაკადები იყო ან მომავალი ფულადი ნაკადები იქნება კლასიფიცირებული კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

ათას ლარში	2020 წლის 1 იანვარი	ფინანსური ფულადი ნაკადები (i)	სხვა ცვლილებები (ii)	სავალუტო გაცვლითი კურსის ზარალი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები საიჯარო	21,918	1,425	2,024	3,615	28,982
ვალდებულება	11,345	(3,812)	1,154	1,499	10,186
სულ	33,263	(2,387)	3,178	5,114	39,168

ათას ლარში	2019 წლის 1 იანვარი	ფინანსური ფულადი ნაკადები (i)	სხვა ცვლილებები (ii)	ახალი სტანდარტების მიღება	სავალუტო გაცვლითი კურსის ზარალი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები საიჯარო	18,014	248	2,280	-	1,376	21,918
ვალდებულება	461	(3,632)	1,622	12,057	837	11,345
სულ	18,475	(3,384)	3,902	12,057	2,213	33,263

(i) საბანკო სესხებიდან, დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხებიდან, სხვა ნასესხები სახსრებიდან წარმოდგენილი ფულადი ნაკადები და საიჯარო ვალდებულებები ქმნის ნასესხები სახსრებიდან და/ან საიჯარო ვალდებულებებიდან და ნასესხები სახსრებისა და/ან საიჯარო ვალდებულებების გადახდებიდან მიღებული შემოსავლების წმინდა თანხას ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

(ii) სხვა ცვლილებები მოიცავს პროცენტის დარიცხვასა და წმინდა გადახდებს.

18. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები

ათას ლარში	2020	2019
კრედიტორული დავალიანებები ადგილობრივი მიმწოდებლების მიმართ	5,785	6,936
კრედიტორული დავალიანებები უცხოელი მიმწოდებლების მიმართ	1,598	1,474
სულ კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,383	8,410

19. ფინანსური რისკების მართვა

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება იმ საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, სადაც ის არსებობს, ასევე შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა გადაწყვეტილება აუცილებელია სავარაუდო რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ეფუძნება სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია რეალურ ღირებულებებთან მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები. განცხადებული ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია მათ რეალურ ღირებულებებთან.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის გაზომვის გამოყენებით და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მე-3 დონის გაზომვის გამოყენებით.

ფინანსური რისკების მართვა. კომპანიაში რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკისადმი დაქვემდებარებულობა შენარჩუნდეს აღნიშნულ ფარგლებში. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა განკუთვნილია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისი წესით განხორციელების უზრუნველსაყოფად, ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

კაპიტალის რისკის მართვა. კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს კომპანიის ფარგლებში წარმოდგენილი სუბიექტების დაშვების პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს წმინდა დავალიანებას (ნასესხები სახსრების დაფარვა ნაღდი ფულითა და საბანკო ნაშთებით) და კომპანიის კაპიტალისგან (რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას). კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის გარიგებების საფუძველზე კონტრაგენტებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები და ბალანსგარე ანგარიშის ვალდებულებები.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. არ არის გაცემული ფინანსური გარანტიები, კრედიტის გასაზრდელი ვალდებულებები, მიუღებელი საკრედიტო ხაზები და ექსპორტის/იმპორტის აკრედიტივები.

კომპანიის ბიზნეს მოდელის გათვალისწინებით (უმნიშვნელო დებიტორული ნაშთები და ნაღდი ფულით გადახდილი შემოსავალი), ჩაითვლება, რომ საკრედიტო რისკი ვერ მოახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას კომპანიაზე იმ მიზეზით, რომ კომპანიას არ განუხორციელებია ინვესტიცია რთული საკრედიტო მართვის სისტემებში.

შეზღუდვები. კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას შეზღუდვების დაწესებით მიღებული რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც უკავშირდება კონტრაგენტებს ან კონტრაგენტების ჯგუფებს. საკრედიტო რისკების დონეზე შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ასეთი რისკების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

საკრედიტო შეზღუდვას აანალიზებს და ამტკიცებს ხელმძღვანელობა. საკრედიტო რისკების მიმართ დაუცველობის მონიტორინგის მიზნით, მუშავდება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, რაც ფოკუსირებული იქნება მომხმარებლის ბიზნეს და ფინანსურ საქმიანობაზე. მომხმარებლებთან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთობა, რასაც თან ახლავს გაუარესებული კრედიტუნარიანობა, წარედგინება და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების საქმიანობას და თვალყურს ადევნებს გადასახდელ ნაშთებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

გაი. ნიხუ

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	2020	2019
ფინანსური აქტივები		

დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	870	866
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 15)	1,589	657
სულ ფინანსური აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,459	1,523

ათას ლარში	2020	2019
ფინანსური ვალდებულებები		

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები (შენიშვნა 17)	699	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები (შენიშვნა 17)	28,283	21,918
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	8,011	8,398
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,175	2,947
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება (შენიშვნა 18)	7,383	8,410
სულ ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	46,551	41,673

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

უცხოური სავალუტო რისკი. უცხოური სავალუტო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რომელსაც ახორციელებს კომპანია. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტებში. კომპანია არ სარგებლობს რაიმე წარმოებული აქტივით სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების მართვის მიზნით.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

ათას ლარში	2020 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო
	1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი	1 ევრო = 4.0233 ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	502	28
სულ ფინანსური აქტივები	502	28
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	28,283	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	8,011	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	2,175	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	334	1,066
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,502	1,066
სულ წმინდა პოზიცია	(39,000)	(1,038)

ელი ნიკი

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	2019 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო
ათას ლარში	1 აშშ დოლარი =	1 ევრო = 3.2095
ფინანსური აქტივები	2.8677 ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	7	9
სულ ფინანსური აქტივები	7	9
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	21,918	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	8,398	-
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	2,912	35
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	691	1,102
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,919	1,137
სულ წმინდა პოზიცია	(33,912)	(1,128)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილზე ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის გამყარების / შესუსტების მიმართ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში 20%-ით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა შესაბამის ვალუტებში წარმოდგენილ ფულად საშუალებებს ანგარიშგების თარიღისთვის.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადის				
გადახდამდე	(7,800)	7,800	(208)	208

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	აშშ დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		ევროს კურსის ცვლილების გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება / (ზარალი) გადასახადის				
გადახდამდე	(6,782)	6,782	(226)	226

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები – მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთანავე, კომპანიის ფინანსური პოზიცია შესაძლებელია იცვლებოდეს იმ დროისთვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ჰქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებში ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები ზემოაღნიშნულ მგრძნობელობის ანალიზში მოიცავს საგარეუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს კომპანიის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

გთ. ნიჩ

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკში იგულისხმება კომპანიის მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მის არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეთანხმებული დაფარვის ვადებით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე ყველაზე ადრეულ თარიღზე, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილში წარმოდგენილია როგორც პროცენტის, ასევე ძირითადი თანხის ფულადი ნაკადები. ვინაიდან პროცენტი წარმოადგენს ცვალებად განაკვეთებს, არადისკონტირებული ოდენობა მიღებულია საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან აღრიცხვის პერიოდის დასასრულს.

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	7,383	-	-	-	-	7,383
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	266	590	3,140	20,997	36,343	61,336
სულ	7,649	590	3,140	20,997	36,343	68,719

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	8,410	-	-	-	-	8,410
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	374	749	3,217	40,163	663	45,166
სულ	8,784	749	3,217	40,163	663	53,576

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებაზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ აქვს დანერგილი ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის. კომპანიას გააჩნია პროცენტიანი სესხები, რომელთა საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია და შეთანხმებულია ხელშეკრულებით.

20. ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

გაზომვის მიზნით, ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები, ასახული მოგებაში ან ზარალში (FVTPL); (ბ) სავალი ინსტრუმენტები, ასახული სრულ შემოსავალში (FVOCI), (გ) წილობრივი ინსტრუმენტები, ასახული სრულ შემოსავალში (FVOCI), და (დ) ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (AC). მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს გააჩნია ორი ქვე-კატეგორია: (i) აქტივები, რომლებიც სავალდებულოდ იზომება მოგებაში ან ზარალში (FVTPL), და (ii) აქტივები, რომლებიც განისაზღვრება ამგვარად თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. გარდა ამისა, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება ქმნის ცალკე კატეგორიას.

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გადასახდელი ნაშთები

მხარეები ზოგადად დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები და 2020 წლისთვის გარიგებები იყო შემდეგი:

გარიგებები

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარში	აქციონერები	2020 წლის 31 დეკემბერი	
		აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
გრძელვადიანი სააგანსო გადახდები	-	248	248
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	12	12
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	910	910
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	2,156	2,156
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	8,011	8,011
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699	-	699
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	28,283	-	28,283
შემოსავალი	-	71	71
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი (იჯარა, იჯარასთან დაკავშირებული და კომუნალური ხარჯი)	-	206	206
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	158	158
ფინანსური ხარჯი, წმინდა	2,024	2,161	4,185

ათას ლარში	აქციონერები	2019 წლის 31 დეკემბერი	
		აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
გრძელვადიანი სააგანსო გადახდები	-	248	248
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	3	3
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	-	1,962	1,962
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	2,587	2,587
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	-	8,382	8,382
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	21,918	-	21,918
შემოსავალი	-	99	99
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი (იჯარა, იჯარასთან დაკავშირებული და კომუნალური ხარჯი)	-	365	365
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	140	140
ფინანსური ხარჯი, წმინდა	3,656	1,684	5,340

კომპანიის ხელმძღვანელობა შედგებოდა 6 თანამშრომლისგან 2020 და 2019 წლებში. კომპანიის ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება, წარმოდგენილი თანამშრომლის ხანმოკლე სარგებლით, 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 1,231 ათას ლარს და 1,166 ათას ლარს, შესაბამისად.

22. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ის ხშირად წარმოადგენს ცვლილებების, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების საგანს, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთგამომრიცხავია ან განსხვავებულად ინტერპრეტირდება სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ. გადასახადები ხშირად გადაიხედება და მათთან დაკავშირებით ხშირად ტარდება კვლევები რამდენიმე სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო დარიცხვები.

საგადასახადო წელიწადი რჩება ღია განსახილველად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ გარემოებებში საგადასახადო წელიწადი შესაძლებელია დარჩეს ღია უფრო მეტი ხნით. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს საგადასახადო რისკებს საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

ეთი 6163

22. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები (გაგრძელება)

სატრანსფერო ფასწარმოქმნა. სატრანსფერო ფასწარმოქმნის (TP) შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, როგორც წესი, შესაბამისობაშია საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან, რომლებიც დადგენილია ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები. სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას კონტროლირებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით (ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ტრანზაქციები კავშირის არმქონე მხარეებს შორის), თუ ტრანზაქციის ფასი არ არის კომერციული გარიგების. ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მან დაადგინა, რომ შიდა კონტროლი უნდა იყოს შესაბამისობაში სატრანსფერო ფასწარმოქმნის შესახებ კანონმდებლობასთან.

კონტროლირებული ტრანზაქციებიდან წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება მათი რეალური ტრანზაქციის ფასის საფუძველზე. სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესები განვითარებასთან ერთად შესაძლებელია, რომ ამგვარი ფასები აღმოჩნდეს გამოწვევის წინაშე. ამგვარი გამოწვევის ზეგავლენის სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია; მიუხედავად ამისა, იგი შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ფინანსური მდგომარეობისთვის და/ან კომპანიის საქმიანობისთვის.

საოპერაციო გარემო. კომპანია ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრების კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

ვალდებულებების შესრულება. კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მის ნასესხებ სახსრებთან (შენიშვნა 17). ასეთი ვალდებულებების შესრულებლობამ შესაძლოა განაპირობოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, მათ შორის, სესხების რეკლასიფიკაცია გრძელვადიანიდან მოკლევადიან ვალდებულებებად, ვინაიდან ისინი შესაძლებელია დაექვემდებაროს ანგარიშსწორებას მოთხოვნისთანავე, გამსესხებლის ერთპიროვნული შეხედულებისამებრ. კომპანია ასრულებდა ვალდებულებებს 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

23. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

2021 წლის 1 თებერვალს, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა“ გააფორმა დამატებითი სესხის ხელშეკრულება თავის მშობელ კომპანიასთან „TERMINAL WEST (DIY) HOLDINGS LIMITED“, 8% საპროცენტო განაკვეთით წელიწადში, 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯამური ლიმიტით, ათვისების პერიოდით - 2025 წლის 31 დეკემბერი და დაფარვის ვადით - 2035 წლის 31 დეკემბერი. სესხის ხელშეკრულების მიზანი იყო ძირითადი საშუალებების შესყიდვისა და სამუშაო კაპიტალის დაფინანსება ახალი მაღაზიის გასახსნელად, რომელიც განთავსდება შემდეგ მისამართზე: ბელიაშვილის ქუჩის გაგრძელება, გლდანი-დიდმის დამაკავშირებელი მაგისტრალის ჩრდილოეთი, თბილისი, საქართველო.

2021 წლის 3 მარტს, შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა“ დამატებით შეამცირა მშობელი კომპანიისგან „TERMINAL WEST (DIY) HOLDINGS LIMITED“-სგან არსებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში აღებული სესხი 200 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას არ ჰქონია ადგილი, რომელიც მოითხოვდა შესწორებას ან გამჟღავნებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

გაფორმებულია

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 406119178
საქართველო, თბილისი,
თვალჭრელიძის ქ. N2
ტელ.: +995 322 50 50 50



ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.

ხელმძღვანელობა წარმოადგენს წინამდებარე ხელმძღვანელობის ანგარიშს და შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგის“ (შემდგომში - „კომპანია“) აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

დაფუძნება

კომპანია დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისში, 2014 წლის მაისში, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების თანახმად. კომპანიას აკონტროლებს „Terminal West (DIY) Holdings Limited“, დაფუძნებული კვიპროსში, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%-ს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და ოპერაციების არსი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების და საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, „თვითმომსახურების“ ტიპის მაღაზიების ქსელის საშუალებით, „დომინოს“ სავაჭრო ნიშნის სახელწოდებით. აღნიშნული სავაჭრო ნიშანი შეიქმნა და რეგულირებული იქნა ადგილობრივად. კომპანიის შიდა პოლიტიკა და პროცედურები და მარკეტინგული საქმიანობა ვითარდება კომპანიის ფარგლებში.

ვაჭრობის თვალსაზრისით, კომპანია კონცენტრირდება და საკუთარ თავს ექსპერტად მიიჩნევს საქონლის შემდეგ ძირითად კატეგორიებში: სამშენებლო მასალები, ინსტრუმენტები, სანიტარული მოწყობილობები, ფილები, იატაკის საფარი, მებაღეობა და მცენარეები.

კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის, სამომავლო მოვლენებისა და საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის განვითარება დღემდე, ფინანსური შედეგები და მდგომარეობა, როგორც ეს წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ითვლება დამაკმაყოფილებლად.

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მთლიანმა მოგებამ შეადგინა 15,721 ათასი ლარი (2019 წ.: 15,027 ათასი ლარი), საოპერაციო მოგება განისაზღვრა 773 ათასი ლარით (2019 წ.: საოპერაციო ზარალი შეადგენდა 539 ათას ლარს) და ზარალი მოცემული წლისთვის იყო 7,146 ათასი ლარი (2019 წ.: 7,286 ათასი ლარი). მთლიანი მოგების ზრდა ძირითადად შემდეგი ფაქტორებით არის განპირობებული: 1. ორგანული გაყიდვების ზრდა უკვე დაფუძნებულ და ექსპლუატაციაში მყოფ სარეალიზაციო პუნქტში - „ისთ ფოინთში“ მდებარე ჰიპერმარკეტში; 2. ახალი „დომინო მარკეტის“ ფორმატის მაღაზიების გახსნა; 3. კომპანიის კომერციული და ფინანსური განყოფილებების მიერ შესყიდვის ხარჯების და შესაბამისი მთლიანი მარჟების მუდმივი კონტროლი; 4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისისა და დანაკარგების შედეგად გამოწვეული ხარჯების კონტროლის ქვეშ მოქცევა და მრეწველობის საშუალო საზღვრების ფარგლებში შენარჩუნება. შესაბამისი წლის დანაკარგი ძირითადად გამოწვეულია 8,312 ათასი ლარის (2019 წ.: 5,850 ათასი ლარის) ოდენობის ფინანსური ხარჯით.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებებმა გადააჭარბა მის აქტივებს 22,508 ათასი ლარით (2019 წ.: 15,362 ათასი ლარით), რაც ძირითადად განპირობებულია გადაუხდეელი სესხის ძირითანობით და დარიცხული პროცენტის ნაშთით მისი მშობელი კომპანიის მიმართ, რაც შეადგენს 28,982 ათას ლარს (2019 წ.: 21,918 ათას ლარს). კომპანიამ მიიღო ფორმალური მხარდაჭერის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ მშობელი კომპანია გააგრძელებს კომპანიის ფინანსური დახმარების გაწევას, რათა მან განაგრძოს საქმიანობა წერილში მითითებული თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

კომპანია გეგმავს შეიმუშაოს და გაზარდოს მისი ამჟამინდელი საბაზრო წილი, თავისი მომხმარებლების მიმართ განსაკუთრებული საცალო ვაჭრობის გამოცდილების უზრუნველყოფით, მისი ფართო ასორტიმენტის გაზრდით და დარეგულირებით, ასევე მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფით. 2017 წელს კომპანიამ ჩამოაყალიბა და წარმატებით გაუშვა ექსპლუატაციაში დამატებითი სარეალიზაციო პუნქტი - ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმა, რაც უქმნის მომხმარებელს კომფორტს, აძლევს რა მათ საშუალებას მიიღონ იგივე ასორტიმენტი და მომსახურება, კომპანიის მაღაზიებში ფიზიკურად სტუმრობის გარეშე.

გარდა ამისა, 2018 წელს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მაღაზიების ახალი ფორმატის შექმნასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილი იქნებოდა ექსპლუატაციაში იმავე სავაჭრო სახელწოდებით „დომინო“ და, შედეგად 2019 წლის პირველ კვარტალში, კომპანიამ გახსნა ორი დამატებითი მაღაზია (რომელთაგან ერთი, ისანში მდებარე მაღაზია დაიხურა). ახალ მაღაზიებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ პუნქტი „კომპანიის ფილიალების არსებობა“.

გა- ნი-ბ

COVID-19-ის გავლენა. 2020 წლის 12 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19-ის პანდემიის შესახებ. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვები. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისიტანციური მუშაობის რეჟიმზე. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, კომპანიის საქმიანობაზე არსებული მდგომარეობის გავლენა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის დებულობს ყველა აუდიტებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ურთიერთობა თანამშრომლებთან:

კომპანიის მიერ დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა 2020 წლის განმავლობაში შეადგენდა 405 ადამიანს (2019 წელს: 427 ადამიანს). ხელმძღვანელობამ დაწერა ჯანსაღი პოლიტიკა და პროცედურები ადამიანური რესურსების პროცესებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ თანამშრომელს კომპანიაში შესვლისთანავე ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და მას ჩაუტარდეს შესაბამისი პრაქტიკული მომზადება, ტრენინგი და შემდგომი სწავლება. კომპანიამ ასევე შეიმუშავა ქცევის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა და რომელსაც ასრულებს ყველა თანამშრომელი. ქცევის კოდექსი ეხება ქცევით და ეთიკურ საკითხებს სამუშაო ძალის ფარგლებში.

ურთიერთობა მიმწოდებლებთან:

მისი დაარსებიდან დღემდე, კომპანიამ შეიმუშავა სანდო ურთიერთობა თავის ყველა მიმწოდებელთან, რაც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სამართლიანი, გასაგები და დროული ფინანსური ანგარიშსწორების სისტემა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება. კომპანიის საოპერაციო შედეგები მისი დაარსების დღიდან და ასევე მის მიერ მოპოვებული სანდოობა საშუალებას აძლევს კომპანიას, გააფორმოს კომერციული თვალსაზრისით წარმატებული გარიგებები მის უცხოელ მიმწოდებლებთან, კერძოდ, კომპანია ახდენს საქონლის იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან - ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები, თურქეთი და აზიის სახელმწიფოები.

ურთიერთობა მომხმარებლებთან:

მისი პირველი ჰიპერმარკეტის გახსნის დღიდან, კომპანია იქცა სასურველ ბაზრად სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქტების თვალსაზრისით, სთავაზობს რა თავის მომხმარებელს განსაკუთრებულ საცალო გამოცდილებას, მუდმივად ზრდის და არეგულირებს მისი პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, ასევე უზრუნველყოფს შესაბამის მაღალი ხარისხის მომსახურებას. ამჟამად კომპანია ემსახურება მომხმარებლებს საქართველოს ყველა რეგიონიდან. ამასთან, კომპანია ინარჩუნებს მომხმარებელთა მხრიდან ლოიალობას მისი ლოიალობის საბარათო სისტემის საშუალებით, სეზონური ფასდაკლებების და მარკეტინგული კამპანიების შეთავაზების გზით, მოძრავი წესით.

ურთიერთობა პარტნიორებთან/აქციონერებთან და საგადასახადო ორგანოებთან:

კომპანიას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული ფინანსური განყოფილება, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით. ყოველივე აღნიშნული, ეფექტიან პოლიტიკასა და პროცედურებთან ერთად სააღრიცხვო ფუნქციის შესრულებისას, საშუალებას აძლევს კომპანიას დროულად და ხარისხიანად წარუდგინოს ანგარიში ყველა დაინტერესებულ მხარეს: ხელმძღვანელობა, სამეთვალყურეო საბჭო, კომპანიის პარტნიორები და საგადასახადო ორგანოები. ხელმძღვანელობას აქვს მისი ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება, რომელიც აუდიტებულია სათანადო რეპუტაციის მქონე საერთაშორისო დამოუკიდებელი აუდიტის კომპანიების მიერ. კომპანიას არ აქვს საგადასახადო ორგანოსთან დავების ისტორია, ასევე რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმა და / ან პირგასამტეხლო.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის გათვალისწინებით (უმნიშვნელო დებიტორული ნაშთები და ნაღდი ფულით გადახდილი შემოსავლები), არ მიიჩნევა, რომ საკრედიტო რისკი მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიაზე, სწორედ ამიტომ, კომპანია არ ახდენს ინვესტიციას რთული საკრედიტო რისკების მართვის სისტემების შექმნაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორიცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

ელ. ხელ

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.

	2020	2019
ფინანსური აქტივები		
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	870	866
ფული და ფულის ექვივალენტები	1,589	657
სულ ფინანსური აქტივები	2,459	1,523
ფინანსური ვალდებულებები	2020	2019
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	28,283	21,918
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	699	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	8,011	8,398
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	2,175	2,947
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	7,383	8,410
სულ ფინანსური ვალდებულებები	46,551	41,673

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

უცხოური სავალუტო რისკი. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტებში. კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

	2020 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო
	1 აშშ დოლარი =	1 ევრო = 3,2095
	2,8677 ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	502	28
სულ ფინანსური აქტივები	502	28
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	28,982	-
საიჯარო ვალდებულებები	10,186	-
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	334	1,066
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,502	1,066
სულ წმინდა პოზიცია	(39,000)	(1,038)

	2019 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო
	1 აშშ დოლარი =	1 ევრო = 3,2095
	2,8677 ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	7	9
სულ ფინანსური აქტივები	7	9
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	21,918	-
საიჯარო ვალდებულებები	11,310	35
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	691	1,102
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,919	1,137
სულ წმინდა პოზიცია	(33,912)	(1,128)

გაიი ნიხუ

ლიკვიდობის რისკი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის დარჩენილი სახელშეკრულები ვადა მის არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეთანხმებული დაფარვის ვადებით 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	7,383	-	-	-	-	7,383
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	266	590	3,140	20,997	36,343	61,336
სულ	7,649	590	3,140	20,997	36,343	68,719
	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი						
არასაპროცენტო	8,410	-	-	-	-	8,410
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	374	749	3,217	40,163	663	45,166
სულ	8,784	749	3,217	40,163	663	53,576

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთების ცვლადობის ზემოქმედებაზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ აქვს დანერგილი ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის. კომპანიას გააჩნია პროცენტთან სესხები, რომელთა საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია და შეთანხმებულია ხელშეკრულებით.

არა-ფინანსური რისკები. კომპანიის წინაშე არსებული არა-ფინანსური რისკები და გაურკვევლობები ასახავს ქვეყანაში არსებულ ზოგად ეკონომიკურ სიტუაციას, მშპ-ს ზრდას და ინფლაციის მაჩვენებელს, ასევე გაურკვევლობებს ხელისუფლების მიერ ახალი რეგულაციების შემუშავებასთან, მათ დამტკიცებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ხანმოკლე ვადების განსაზღვრას ბიზნესისთვის აღნიშნული ახალი რეგულაციებისთვის მოსაზრადებლად.

კომპანიის ფილიალების არსებობა

ამჟამად კომპანია ამუშავებს ერთი ჰიპერმარკეტის ფორმატის მაღაზიას და ორი მარკეტის ფორმატის მაღაზიას.

2015 წლის 23 მაისს გაიხსნა პირველი ჰიპერმარკეტი 12,000 კვ.მ. საერთო ფართობით, რომელიც განთავსებულია სავაჭრო ცენტრში „ისთ ფოინთი“, საქართველოში, ქ. თბილისში.

2018 წელს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კომპანიის საქმიანობის გაფართოება და ახალი ფორმატის მაღაზიების განვითარება 1,000 – 3,000 კვ.მ. ფართობით „დომინო მარკეტის“ სავაჭრო ნიშნით ოპერირებისთვის. შედეგად 2019 წელს გაიხსნა შემდეგი ახალი მაღაზიები:

2019 წლის 2 თებერვალს, კომპანიამ გახსნა მისი პირველი „დომინო მარკეტის“ ფორმატის მაღაზია. მაღაზიის სრული ფართი შეადგენს 1,478 კვ.მ.-ს და მდებარეობს ისნის რაიონში. აღნიშნული მაღაზია დაიხურა 2020 წლის სექტემბერში.

2019 წლის 16 თებერვალს, კომპანიამ გახსნა მისი მეორე „დომინო მარკეტის“ ფორმატის მაღაზია. მაღაზიის სრული ფართი შეადგენს 1,375 კვ.მ.-ს და მდებარეობს დიდი დიდმის რაიონში.

ყველა აღნიშნული მაღაზია წარმოდგენილია საოპერაციო იჯარის პირობებით.

კვლევა და განვითარება

კომპანია ასრულებს კვლევას და განვითარებას კომპანიის შიდა რესურსით. აღნიშნული მოიცავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, საბაზრო კამპანიების, პროდუქციის ნომენკლატურის წარმოების, მომსახურების მიმოხილვის, პროგნოზების, მიზანშეწონილობის კვლევების განვითარებას და დანერგვას ახალი მაღაზიების გახსნისა და სხვა საქმიანობისთვის, რაც მომზადდება კომპანიის ფარგლებში სხვადასხვა უფლებამოსილი პირების / დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობით.

2020 და 2019 წლების განმავლობაში, კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებულ გარეშე საქმიანობაში.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არსებული პრაქტიკა და შედეგები დამაკმაყოფილებელია კომპანიის ამჟამინდელი განვითარებისთვის და არ საჭიროებს დამატებით გარეშე კონსულტაციას.

რუსლან შულდიკი

მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

2021 წლის 6 აპრილი

გიორგი ნონიევი

მთავარი ფინანსური დირექტორი

2021 წლის 6 აპრილი

გაი 6.11.21

შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“

ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2020 წ.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არსებული პრაქტიკა და შედეგები დამაკმაყოფილებელია კომპანიის ამჟამინდელი განვითარებისთვის და არ საჭიროებს დამატებით გარეშე კონსულტაციას.

ხელმოწერილია

რუსლან შულდიკი

მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

2021 წლის 6 აპრილი

ხელმოწერილია

გიორგი წონიევი

მთავარი ფინანსური დირექტორი

2021 წლის 6 აპრილი

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია.

მთარგმნელი: ეთერ წოზაძე

ეთერ წოზაძე



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N211069351



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

27.09.2021 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ელენე მერგელ

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

995322745001

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

29995340366621



მე, ნოტარიუსი ელენე მერგელ, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #22/4, ვადასტურებ დიპლომირებული მთარგმნელის ეთერ ნოზაძის (დაბადებული 12.12.1983, ქ. ხაშურში, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. #26, ბინა 27, პირადი #57001012113) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე თარგმანზე ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი AA#000101, გაც. 2006წ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო #335. მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვამოწმებ.

I, notary Elene Mergell, whose notary bureau is located at the address: 22/4, Ketevan Tsamebuli Ave. hereby attest the authenticity of signature of certified translator Eter Nozadze (born on 12.12.1983, in Khashuri, Registered: 26, Chargali Str., app. 27, Tbilisi; personal #57001012113) on the above translation from English into Georgian language. The translator presented the document - diploma AA #000101 issued in 2006 by the Tbilisi Ilya Chavchavadze State University of Language and Culture, registration #335. I warned the translator about the responsibility that shall be caused by inaccurate translation. The translator attested before me that the translation is accurate and personally signed it in my presence, that is hereby certified by me.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის 82.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 14.76 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეგისტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

Fee for fulfillment of notary service 82.00 GEL, according to the article 31st of the Decree No.507 of the Government of Georgia of December 29th, 2011, also VAT – 14.76 GEL, according to the article 166th of the Tax Code of Georgia, 2 (two) GEL – fee for registration in the electronic notary register, according to the article 39th of the Decree No.507 of the Government of Georgia of December 29th, 2011.

ნოტარიუსი/Notary



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადმოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18